ჰომონაციონალიზმი, როგორც კრებული: ვირუსული მოგზაურობები, აფექტური სექსუალობები

ჯასბირ კ. პუარი

მთარგმნელი: აია ბერაია

ამ სტატიაში ჩემი მიზანია გეი და ლესბოსური მოძრაობების მომძლავრების კონტექსტუალიზაცია იმ დებატების ფარგლებში, რაც უფლებების დისკურსებსა და უფლებებზე დაფუძნებული სუბიექტის შესახებ მიმდინარეობს, და რაც, ალბათ, ლიბერალიზმის ყველაზე ძლიერი აფროდიზიაკია. ვიკვლევ, თუ როგორ იქცა სექსუალობა გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფორმაციად „ნორმალური“ მოქალაქეობის არტიკულაციისთვის ისეთი რეგისტრების კვეთით, როგორებიცაა გენდერი, კლასი და რასა - როგორც ნაციონალურ, ასევე ტრანსნაციონალურ დონეზე. მოცემული ესე განსაზღვრავს ჰომონაციონალიზმს, როგორც ანალიტიკურ კატეგორიას, რომელიც გვჭირდება იმის გაგებისა და ისტორიზებისთვის, თუ რამ განაპირობა ის, რომ „გეიმეგობრულობა“ ქვეყნებისთვის სასურველ სტატუსად იქცა. მოდერნულობის მსგავსად, ჰომონაციონალიზმსაც შეიძლება, წინააღმდეგობა გავუწიოთ ან მნიშვნელობა შევუცვალოთ, მაგრამ მას ვერ გამოვეთიშებით: ჩვენ ყველანი მის მიერ და მისი საშუალებით ვართ განსაზღვრულები. მოცემული სტატია სამ ნაწილად იყოფა. ვიწყებ „ტერორისტი კრებულების“ პროექტის მიმოხილვით, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ტერმინ „ჰომონაციონალიზმის“ ცირკულაციას. შემდეგ, მეორე ნაწილში, ჰომონაციონალიზმზე პალესტინა-ისრაელის კონტექსტში ვსაუბრობ, რათა ოკუპაციასთან მიმართებაში სექსუალური უფლებების დისკურსებისა და „ფინქვოშინგის“ ნარატივის რელევანტურობა გამოვკვეთო. ბოლოს, დასკვნით ნაწილში ვიაზრებ იმ პოტენციალს, რასაც სექსუალობის არა იდენტობად, არამედ შეგრძნებების, აფექტებისა და ძალების კრებულად განხილვა გვაძლევს. სექსუალობის ეს ვირუსულობა ეფექტურად ახდენს სექსუალობის სუბიექტების ჰუმანისტური ცნებების დესტაბილიზაციას, მაგრამ აგრეთვე პოლიტიკურ ორგანიზებას, რომლის მიზანიცაა შეეწინააღმდეგოს იმ სამართლებრივ დისკურსებს, რომლებიც სექსუალობის სუბიექტების სახელდებასა და კონტროლს ცდილობენ.

I. შესავალი

ამ სტატიაში ჩემი მიზანია გეი და ლესბოსური მოძრაობების მომძლავრების კონტექსტუალიზაცია იმ დებატების ფარგლებში, რაც უფლებების დისკურსებსა და უფლებებზე დაფუძნებული სუბიექტის შესახებ მიმდინარეობს, და რაც ალბათ ლიბერალიზმის ყველაზე ძლიერი აფროდიზიაკია.[1] გეი და ლესბოსური პოლიტიკური ორგანიზების მიზნები და

[1] ადამიანის უფლებების, როგორც ლიბერალიზმის ყველაზე ძლიერი აფროდიზიაკის დახასიათება ამოღებულია ვორქშოფის „ადამიანის უფლებები კანონს მიღმა“ ქოლიდან, ხელმისაწვდომია: http://www.hnet.org/announce/show.cgi?ID=182227.

წარმატება სულ უფრო მეტად განისაზღვრება და იზომება ლეგალიზაციის პრიზმიდან, რაც შედეგად გვაძლევს მარტივად აღსაქმელ რომანს სოდომიის დეკრიმინალიზაციით სხვადასხვა ქვეყნის კონტექსტში. იმ პირობებში, როცა კანონის დისკურსს შეუძლია, ემსახუროს და თანაც კარგად ემსახუროს სოციალური უსამართლობების გამოსწორებას, ხოლო სამართლებრივი დისკურსის სუბიექტებს აქვთ უნარი და შესაძლებლობა, მოელაპარაკონ სამართლებრივ სისტემებს მაშინაც კი, როცა მათი დისციპლინის ძალებს ექვემდებარებიან, ჩემი ინტერესია, დესტაბილიზაცია შევიტანო სოციალური ცვლილებისა და „პროგრესის“ ლეგალიზაციის კუთხით გაზომვაში. „კანონი“ შემოსაზღვრულია იმით, რასაც თავადვე ქმნის და გადმოგვცემს; ჩვენ შეზღუდვად უნდა განვიხილოთ არა თავისთავად სამართლებრივი ინსტრუმენტები, არამედ კანონის დამოკიდებულება პერფორმატიულ ენაზე, რომელიც თავად ქმნის იმას, რასაც გაცხადებულად არეგულირებს, მათ შორის, სუბიექტის ამ კანონისთვის მიკუთვნებულობასაც თავად წარმოქმნის.[2] ეს შეზღუდვები უფლებებზე დაფუძნებული სამართლებრივი ინტერვენციების შეწყვეტის აუცილებლობას არ ქმნის, თუმცა აშკარას ხდის, რომ საჭიროა, ყურადღება მივაქციოთ პროგრესული კანონმდებლობის თანმხლებ არაპროგრესულ მოვლენებს და, აგრეთვე, სხეულებრივ ქცევებს, რომლებიც იდენტობის პარამეტრებს მიღმაა.

ვიწყებ „ტერორისტი კრებულების“ პროექტის მიმოხილვით, სადაც განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობ ტერმინ „ჰომონაციონალიზმის“ ცირკულაციას. შემდეგ, მეორე ნაწილში, ჰომონაციონალიზმზე პალესტინა-ისრაელის კონტექსტში ვსაუბრობ, რათა ოკუპაციასთან მიმართებაში სექსუალური უფლებების დისკურსებისა და „ფინქვოშინგის“ ნარატივის რელევანტურობა გამოვკვეთო. ბოლოს, დასკვნით ნაწილში ვიაზრებ იმ პოტენციალს, რასაც სექსუალობის არა იდენტობად, არამედ შეგრძნებების, აფექტებისა და ძალების კრებულად განხილვა გვაძლევს. სექსუალობის ეს ვირუსულობა ეფექტურად ახდენს სექსუალობის სუბიექტების ჰუმანისტური ცნებების დესტაბილიზაციას, თუმცა, აგრეთვე იმ პოლიტიკური ორგანიზებისაც, რომლის მიზანიცაა შეეწინააღმდეგოს ისეთ სამართლებრივ დისკურსებს, რომლებიც ცდილობენ სექსუალობის სუბიექტების სახელდებასა და კონტროლს.

II. ჰომონაციონალიზმი და მისი თანმდევი უკმაყოფილება

2007 წელს ჩემს მონოგრაფიაში „ტერორისტი კრებულები: ჰომონაციონალიზმი ქვიარ დროში“[3] განვავითარე „ჰომონაციონალიზმის“ კონცეპტუალური ჩარჩო, რაშიც მოვიაზრებ

---

[2] ადამიანის უფლებების დისკურსი იმეორებს „ბიოპოლიტიკურ ანთროპოცენტრიზმს“, რაც ადამიანის გამორჩეულობის იდეის კვლავწარმოების საშუალებას იძლევა; Julie Livingston & Jasbir Puar, *Introduction:Interspecies*, 29 (106) Soc. Text 3-14 (2011).

[3] Jasbir K. Puar, *Terrorist Assemblages: Homonationalism in Queer Times* (2005).

გეი და ლესბოსელი სუბიექტების მიმართ „მიმღებლობისა“ და „ტოლერანტობის“ გამოყენებას ბარომეტრად, რომლის საშუალებითაც ფასდება ქვეყნის ლეგიტიმურობა და უნარი, რომ ფლობდეს ეროვნულ სუვერენიტეტს. 1990-იანი წლების დასაწყისში ჩემი ყურადღება მიიპყრო ტრანსნაციონალური ფემინისტური დისკურსისა და ქვიარ თეორიების სტანდარტულმა მიდგომამ, რომელიც ამტკიცებდა, რომ ერი ჰეტერონორმატიულია და რომ ქვიარი ერი-სახელმწიფოსგან საწყისშივე უარყოფილია.

„ტერორისტი კრებულების“ პროექტი ამერიკაში 9/11-ის შემდგომ პოლიტიკურ ეპოქაში შეიქმნა, მაგრამ ჩემი მიზანი ის არ ყოფილა, რომ მხოლოდ აშშ-ს სახელმწიფოს მიერ ქვიარ სხეულების ინსტრუმენტალიზაციისთვის გამესვა ხაზი, ან მხოლოდ ქვიარ თემის მიერ აშშ-ს ნაციონალისტური და ხშირად ქსენოფობიური და იმპერიალისტური ინტერესების მიმართ მიმღებლობისთვის. ნაცვლად ამისა, ლიზა დიუგანის მნიშვნელოვან ნაშრომზე და ცნება „ჰომონორმატიულობაზე“ დაყრდნობით - სადაც იგი ნეოლიბერალური ეკონომიკების პრივატიზაციისა და ქვიარ თემის მიმართ მიმღებლობის ზრდის ურთიერთგადაფარვების თეორიტიზაციას ახდენს[4] - ჰომონაციონალიზმი წარმოადგენს იმის ფუნდამენტურ კრიტიკას, თუ როგორ წარმოქმნიან გეი და ლესბოსური დისკურსები პროგრესისა და მოდერნულობის იმგვარ ნარატივს, რომელიც მოსახლეობის ზოგიერთ ნაწილს წვდომას აძლევს მოქალაქეობის კულტურულ და სამართლებრივ ფორმებზე და ამას მოსახლეობის სხვა ნაწილის ამ უფლებებიდან ნაწილობრივი და სრული გამორიცხვის ხარჯზე აკეთებს.

მარტივად რომ ვთქვათ, ჰომონაციონალიზმი არის ლგბტქ სუბიექტების სამართლებრივი, მომხმარებლური და რეპრეზენტაციული აღიარების ზრდა და ამის თანადროულად კეთილდღეობის გარანტიების, იმიგრანტთა უფლებების შემცირება და სახელმწიფოს ძალაუფლების ზრდა დაზვერვის, დასჯისა და დეპორტაციების გაფართოების მიზნით. მაშასადამე, გეი უფლებების პროგრესის ნარატივი რასიალიზებული და სექსუალიზებული „სხვების“ ზურგზეა დაშენებული, მათზე, ვინც ასეთ პროგრესს უკვე მიაღწია, მაგრამ ახლა რეგრესს განიცდის ან მათზე, ვისაც მსგავსი რამ ჯერ არც ღირსებია. ეს პროცესი ეფუძნება ჰომოსექსუალი სუბიექტების რესპექტაბელობის მხარდაჭერას, რასთან მიმართებაშიც წარმოჩენილია რასობრივი „სხვების“, კერძოდ, მუსლიმი „სხვების“ პათოლოგიზებული პერვერტული (ჰომო- და ჰეტერო-) სექსუალობა და ორიენტალისტური და ნეოორიენტალისტური პროექციებიც მათთვე მიემართებათ. მაშასადამე, ჰომონაციონალიზმი არ არის უბრალოდ გეი რასიზმის სინონიმი ან კიდევ ერთი მეთოდი გეი და ლესბოსური იდენტობების „კონსერვატიულობის“ კრიტიკისთვის; ის უფრო არის ანალიტიკური ინსტრუმენტი იმის გასაგებად, თუ რა შედეგები მოსდევს ლგბტ ლიბერალური მოძრაობების წარმატებებს.

აქვე დავამატებ და მოგვიანებით უფრო დეტალურად განვიხილავ, რომ ჰომონაციონალიზმს იდენტობად ან პოზიციად არ მოვიაზრებ - ეს არ არის კიდევ ერთი მარკერი, რომელიც „კარგ“

---

[4] Lisa Duggan, *The Twilight of Equality: Neoliberalism, Cultural Politics, and the Attack on Democracy* (2002).

(პროგრესულ/ტრანსგრესიულ/პოლიტიკურად მემარცხენე) ქვიარს „ცუდი“ (გაყიდული/კონსერვატორი/პოლიტიკურად გაკოტრებული) ქვიარისგან გამოყოფს. ნაცვლად ამისა, ჰომონაციონალიზმის თეორიტიზაციას ვახდენ, როგორც კრებულის, რომელიც დეტერიტორიალიზაციის და რეტერიტორიალიზაციის ძალებს, აფექტებს, ენერგიებსა და მოძრაობებს მოიცავს. კრებულები დროის მიმდევრობაში ან ცალკეულ ისტორიებში, სფეროებსა და დისკურსებში არ გროვდება. თანამედროვე ამერიკის ქვიარ პოლიტიკაში მოძრაობის დასახელებისას ჰომონაციონალიზმი მხოლოდ იმდენადაა სასარგებლო, რამდენადაც გვაძლევს საშუალებას, თვალი მივადევნოთ ისტორიულ ცვლილებებს მოდერნულობის პირობებში, თუმცა კი მისი მობილიზაცია სწორედ იმ ცვლილებების საშუალებით მოხდა, რომელთა სახელდებისათვისაც ის შეიქმნა. შეგვიძლია ადამიანის უფლებების სქემების მიერ სექსუალური იდენტობის ინსტრუმენტალიზაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე ვიკამათოთ, მაგრამ თავს ვერ ავარიდებთ იმას, რაც, ჩემი აზრით, პრობლემის არსებითი ნაწილია: თავად იდენტობის ცნების დაჟინებული ან ავტომატური გამოყენება. დელეზის კრებულის მეშვეობით - ორიგინალში, ფრანგულად, ეს არის ტერმინი agencement, რაც დაახლოებით „განლაგებების სტრუქტურირებას“ ნიშნავს - ჰომონაციონალიზმი რეარტიკულირებულია, როგორც ძალაუფლების ველი და არა რომელიმე ერი-სახელმწიფოს, ორგანიზაციის ან ინდივიდის აქტივობა ან თვისება.[5]

გარდა ამისა, ჰომონაციონალიზმი პროცესია და არა მოვლენა ან მახასიათებელი. იგი აღნიშნავს ისტორიულ ცვლილებას ერი-სახელმწიფოების ქმედებაში: ჰეტერონორმატიულობის მტკიცე მოთხოვნიდან ჰომონორმატიულობის მზარდ ინკლუზიამდე. ეს პროცესი 9/11-ის, როგორც ცალკეული ისტორიული მომენტის, ირგვლივ არ ტრიალებს: „ეს“ 9/11-თან ერთად არ დაწყებულა. პრობლემურად მიმაჩნია ის, რომ 9/11 საწყის წერტილად მოჩანს ხოლმე, რაც სახიფათო ისტორიულ რეიფიკაციას იწვევს (რასაც ამერიკაში ხანდახან ცინიკურად მოიხსენიებენ „9/11-ის ინდუსტრიად“).[6] 9/11-ის მიღმა, ჩემთვის საინტერესოა სამოქალაქო უფლებების შემდგომი 40-წლიანი ეპოქა, რომელიც ლიბერალური ინკლუზიის პოლიტიკის საშუალებით აწარმოებს სექსუალურ „სხვას“, როგორც თეთრკანიანს და რასობრივ „სხვას“, როგორც ჰეტეროსექსუალს. მართალია, მძვინვარე ისლამოფობიამ და იმის შეგრძნებამ, რომ პრეზიდენტი ობამას „პოსტრასობრივმა“ მომენტმა კრახი განიცადა, ხელსაყრელი გარემო შექმნა უფრო ღია რასისტული გამოხატვებისთვის, მაგრამ ამ კონსერვატიულ მოდალობებთან უშუალო დაპირისპირება მაინც უფრო ადვილია, ვიდრე ადრე იყო. მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ რასიზმისა და ლიბერალიზმის ფარული შეთანხმებები ჰომონაციონალიზმის კრიტიკის მთავარი საგანია. ერთ დროს გარიყული სექსუალური

---

[5] კრებულის თეორიის უფრო დეტალური განმარტებისთვის იხ. Jasbir K. Puar, *I'd rather be a cyborg than a goddess,* 2 (1) PhiloSOPHIA: A J. Continental Fem. 49-66 (2012).

[6] აქ საინტერესოა ისლამოფობიის სხვადასხვა პერიოდიზაციები. რა თქმა უნდა, შეგვიძლია გავიხსენოთ მზარდი გლობალური ისლამოფობიის ფორმები, რაც დეკოლონიზაციის პერიოდს, 1978-79 წლების ირანის რევოლუციას და ცივი ომის დასასრულს დაემთხვა. აშშ-ში ტერორისტული კვლევების წარმოქმნის შესახებ ჩემს კვლევაში კი (Terrorist Assemblages, თავი პირველი), ვაჩვენებ, როგორ მოხდა მუსლიმი ტერორისტის ფიგურის კონსოლიდაცია ცივი ომის პერიოდში.

იდენტობების პროგრესული ლიბერალური ინსტრუმენტალიზაციისა და რასიზმის შერწყმამ მიგვიყვანა იმგვარი „საღი აზრის“ ლიბერალურ პოზიციებამდე, როგორებიცაა, მაგალითად: „რა თქმა უნდა, ვეწინააღმდეგებით ტერორის წინააღმდეგ ომს, მაგრამ მუსლიმები რომ ჰომოფობები არიან?“ „რა თქმა უნდა, ვეწინააღმდეგებით აშშ-ს მიერ შუა აღმოსავლეთის ოკუპაციას, მაგრამ ირანელები კვლავ აგრძელებენ უდანაშაულო გეი კაცების ჩამოხრჩობას“, „რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ რევოლუციას ეგვიპტეში და არაბულ გაზაფხულს, მაგრამ ქალებზე სექსუალური თავდასხმები ამტკიცებს, რომ ეგვიპტელები მხეცები არიან.“ ამგვარი ბინარული დაყოფები განათლებულ ლიბერალ სეკულარისტებად და იმ „სხვებად“, იმ რასიალიზებულ რელიგიურ ფანატიკოსებად, არა მხოლოდ ინტელექტუალურად რედუქციონისტური და პოლიტიკურად ნაივურია, არამედ ეს უბრალოდ მიუღებელია.[7]

მიუხედავად ამისა, ვიტყოდი, რომ ეს დაყოფები საკმაოდ მიღებული გახდა აშშ-ს და ევროპის გეი, ლესბოსურ, ფემინისტურ და მემარცხენე წრეებში.[8] ერთ-ერთი ლიბერალური პოზიციონირება, რომელიც კვლავ და კვლავ მეორდება და რომელსაც ფინქვოშინგის განხილვის დროს დავუბრუნდები, ასეთია: „რა თქმა უნდა, მხარს ვუჭერთ პალესტინელთა სწრაფვას თვითგამორკვევისკენ, მაგრამ ისინი ხომ სექსისტები და ჰომოფობები არიან?“ მაგრამ „ტერორისტ კრებულებში“ ვაკვირდები არა მხოლოდ ქვიარობის თეთრ, ქრისტიანულ, სეკულარულ ნორმად გავრცელებას, არამედ აშშ-ს არაბულ მუსლიმურ და სამხრეთ აზიურ ქვიარ თემებში[9] ჰომონაციონალიზმის გავრცელებასაც, ასე რომ ეს მხოლოდ მეინსტრიმული ლგბტ თემის რასობრივი ექსკლუზიებისა და „თეთრობის“ კრიტიკას არ წარმოადგენს.[10]

---

[7] გარდა ამისა, როგორც ჯენეტ ჯეიკობსენი და ენ პელეგრინი შემახსენებენ, ის რაც „დასავლეთში“ სეკულარიზმად მიიჩნევა, არსებითად ქრისტიანული იდეოლოგიური სწავლებებით არის ნასაზრდოები. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიმეს სეკულარულად განსაზღვრება ქრისტიანული ნორმების, როგორც სეკულარულის, ათვისების საფუძველზე ხდება, დღესასწაულების მომხმარებლური ეკონომიკის მიხედვით დროის მონიშვნით დაწყებული და სექსუალური მორალის იმპლიციტურად თეოლოგიური საფუძვლებით დამთავრებული. მაშასადამე, ჯეიკობსენს და პელეგრინის იმის თქმა სურთ, რომ აშშ-ში წმინდად სეკულარული პოზიცია არ არსებობს, რადგან სეკულარიზმი უკვე განეიტრალებულია იმ რელიგიური ორიენტაციით, რომლის უარყოფასაც ის ესწრაფვის. მე დავამატებდი, რომ მოცემულ პოლიტიკურ სიტუაციაში, ამგვარ წმინდა პოზიციაზე პრეტენზიის გაცხადება ძალიან შემაშფოთებლად უკავშირდება ისლამური რწმენის საჯარო გამოხატვებს. ეს კი შემდეგ კითხვებს ბადებს: ეს სეკულარიზმია თუ რასიზმი? სად და როდის ხდება სეკულარიზმის იდეების ათვისება და გააქტიურება კულტურული რასიზმის შესანიღბად? იხ. Janet Jakobsen & Ann Pellegrini, *Love the Sin: Sexual Regulation and The Limits of Religious Tolerance* (2003).

[8] იხ. Lilian Faderman & Roz Rothstein, *A New State for Homophobia*, The Advocate, Oct.12, 2011, ხელმისაწვდომია:
http://www.advocate.com/politics/commentary/2011/10/12/op-ednew-state-homophobia; *Palestine: Lillian Faderman Responds to Alex Blaze*, The Bilerico Project (Oct. 12, 2011), http://www.bilerico.com/2011/10/palestine_lillian_faderman_responds_to_alex_blaze.php.

[9] აქ ინდუისტური სეკულარიზმი და ინდური ნაციონალიზმი ვირუსულად ერწყმის ერთმანეთს.

[10] ქვიარობისა და ნაციონალიზმის ბიოპოლიტიკური გადაჯაჭვულობის მიმართ ჩემი ინტერესი დაიწყო 1990-იანებში, ტრინიდადში ჩემი სადისერტაციო კვლევით, როდესაც გეი და ლესბოსურ მოძრაობაში აფროტრინიდადელებს და ინდოტრინიდადელებს შორის არსებულ დაძაბულობებს ვიკვლევდი, და

აშშ-ში ჰომონაციონალიზმის ბოლო ორი შემთხვევა უფლებების დისკურსის უთანასწორო ძალადობის მტკივნეული ილუსტრაციაა. აშშ-ის არმიაში ჰომოსექსუალებისთვის დაწესებული აკრძალვა - „არ ჰკითხო, არ უთხრა“ პოლიტიკა - 2010 წლის 18 დეკემბერს გაუქმდა, იმავე დღეს აშშ-ს სენატმა შეაჩერა ე.წ. DREAM აქტი („განვითარება, შემწეობა და განათლება არამოქალაქე არასრულწლოვნებისთვის“), კანონი, რომელიც მილიონობით უდოკუმენტო სტუდენტის ლეგალიზაციას მოახდენდა და გზას გაუხსნიდა მათ უმაღლესი განათლების მისაღებად, და რაც უფრო ირონიულია, არმიაში ჩარიცხვისთვის. 2009 წლის შემოდგომაზე მიიღეს მეთიუ შეპარდ ჯეიმს ბირდის სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების პრევენციის აქტი - პირველი ფედერალური კანონი, რომელიც გეების, ლესბოსელების და ტრანსი ადამიანების მიმართ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კრიმინალიზაციას ახდენს, თუმცა, ირონიულად, ამ კანონის მიღება დიდწილად იმან განაპირობა, რომ ის სამხედრო ბიუჯეტის კანონთან იყო მიბმული.[11] ამან ბოლო მოუღო იმ ქვიარ პროგრესს, რომელიც ტერორის წინააღმდეგ ომის მხარდამჭერი არ არის.

ჯერ კიდევ არ იყო გარკვეული, რომ კანონპროექტს მილიტარისტული მიზნების მხარდასაჭერად იყენებდნენ, როცა ქვიარი ფერადკანიანების ორგანიზაციებმა, როგორებიცაა „ოდრი ლორდის პროექტი“ და რამდენიმე მეგობარმა ორგანიზაციამ, მათ შორის, „ქვიარები ეკონომიკური სამართლიანობისთვის“, გაავრცელეს განცხადება, სადაც „ისტორიულად“ გამოცხადებულ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის კანონს უპირისპირდებოდნენ, გამოთქვამდნენ აზრს, რომ ეს სამართლებრივი ინტერვენცია იმდენად ზიანისმომტანი იქნებოდა, რომ უმჯობესი იყო ამ კონკრეტული სიძულვილით მოტივირებული დანაშაულების კრიმინალიზაციაზე უარის თქმა.[12] ეს ორგანიზაციები ვარაუდობდნენ, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის შესახებ კანონი გამოიწვევდა მეტი რესურსის გამოყოფას პოლიციური ძალების „მილიტარიზაციის“, ადმინისტრაციული დაზვერვისა და ფერადკანიანების შევიწროებისთვის (განსაკუთრებით, ფერადკანიანი ახალგაზრდობის, რომლებიც აპრიორი უფრო ჰომოფობიურებად არიან მიჩნეულები, ვიდრე მათი თეთრკანიანი თანატოლები), განსაკუთრებით, ლათინოებისა და აფროამერიკელების შემთხვევაში, ვისი არაპროპორციული პატიმრობების შესახებ აშშ-ში კარგად არის ცნობილი.[13]

გაგრძელდა ჩემი კვლევით გეი და ლესბოსური ტურიზმის შესახებ, სადაც ქვეყნების „გეი-მეგობრულად“ და „არა-გეი-მეგობრულად“ დაყოფას ქვიარი მომხმარებლების ნეოლიბერალური ინტეგრაციის ენდემურ მახასიათებლად მივიჩნევდი.

[11] *SRLP On Hate Crime Laws*, Sylvia Rivera Law Project, http://srlp.org/our-strategy/policyadvocacy/hate-crimes/ (last visited May 15, 2013) („ეს კონკრეტული კანონი მიბმული იყო 680 მილიარდი დოლარის გამოყოფაზე პენტაგონის ბიუჯეტისთვის, რომლიდანაც 130 მილიარდი ერაყსა და ავღანეთში მიმდინარე ოპერაციებისთვის არის“).

[12] იხ. *A Compilation of Critiques on Hate Crimes Legislation,* Blackandpink.org, http://www.blackandpink.org/revolt/a-compilation-of-critiques-on-hate-crimes-legislation (last visited Sept. 15, 2013).

[13] იხ. Ruthie Wilson Gilmore, *The Golden Gulag: Prisons, Surplus, Crisis, and Opposition in Globalizing California* (2007).

ისტორიულად ამერიკაში ეს ჯგუფები ძალადობისგან დასაცავად სახელმწიფოსა და პოლიციას ვერ ეყრდნობოდნენ; პირიქით, ძალადობის სამიზნეს წარმოადგენენ ამ სამსახურებისთვის, რომლებიც წესით მათ უნდა იცავდნენ. მეტიც, სტატისტიკური, დემოგრაფიული, ფინანსური და პერსონალური ინფორმაციის შეგროვების საშუალებით მათ ახალი ჯგუფებიც ემატებათ - ისინი, ვინც სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის სამიზნედ მოიაზრება, ცოდნის წარმოების ფარგლებში ექცევიან და სახელმწიფო დაზვერვის „ობიექტები“ ხდებიან, ვითომ სახელმწიფო დაცვის ქვეშ მყოფ „სუბიექტებად“ ყოფნის საბაბით. სამართლებრივი ინტერვენციის შეზღუდულ ეფექტურობასთან დაკავშირებული ეს გამაფრთხილებელი განცხადებები მეინსტრიმულმა ეროვნულმა გეი და ლესბოსურმა ორგანიზაციებმა სრულად უგულებელყვეს; ამ ორგანიზაციებს არც იმ მძიმე კომპრომისების შესახებ გამოუთქვამთ კრიტიკა ან კომენტარი, რომლებიც ამ კანონის გატანას დასჭირდა.[14]

„ტერორისტი კრებულები“ არ იყო ჩაფიქრებული, როგორც კორექტული მიზნების მქონე და უფრო კონსტრუქციული დებატების წახალისებას ესწრაფვოდა, შესაბამისად, ჩემთვის მოულოდნელი და შთამაგონებელი იყო იმის ხილვა, თუ როგორ ხდება „ჰომონაციონალიზმის“, როგორც კონცეპტის, გამოყენება, ადაპტირება, რეარტიკულირება და კრიტიკა სხვადასხვა ეროვნულ, აქტივისტურ და აკადემიურ კონტექსტებში ჩრდილოეთ ამერიკაში, ევროპაში, შუა აღმოსავლეთსა და ინდოეთში. პარიზული ჯგუფი „არა ჰომონაციონალიზმს“ (*Non a l'homonationalisme*) პარიზში გეი პრაიდისთვის შემოთავაზებულ რეპრეზენტაციულ კამპანიას უპირისპირდება და ეროვნულ სიმბოლოს, თეთრ მამალს იყენებს.[15] რომში სექსუალური დემოკრატიის შესახებ გამართულ კონფერენციაზე მსოფლიო პრაიდის ქალაქის ყველაზე მიგრანტულ უბანში ჩატარება გააკრიტიკეს და მხარი დაუჭირეს სეკულარულ ქვიარ პოლიტიკას, რომელიც უპირისპირდება ვატიკანს, ისევე როგორც ევროპული ორგანიზაციების ჰომონაციონალიზმს.[16] 2013 წლის აპრილში CUNY-ს სადოქტორო ცენტრის ლესბოსური და გეი კვლევების ცენტრმა (CLAGS) უმასპინძლა კონფერენციას „ჰომონაციონალიზმი და ფინქვოშინგი“.[17]

„ტერორისტ კრებულებში“ პირველ რიგში აშშ-ზე ვმუშაობ, მაგრამ ბრიტანეთისა და ნიდერლანდების მაგალითებიც მოვიყვანე, რათა ლიბერალური პროგრესის ნარატივების შედეგები წარმომეჩინა; ეს მაგალითები მემარჯვენე, გეი, მიგრაციის მოწინააღმდეგე პოლიტიკურ ფიგურებსაც მოიცავს, რომლებიც ევროპულ ქვეყნებში სულ უფრო

---

[14] კანონის დეტალებისა და საკანონმდებლო მოლაპარაკებების სრული განხილვისთვის იხ. Chandan Reddy, *Freedom With Violence: Race, Sexuality and the US State* (2011).

[15] *Liberation of Homosexual Muslims of France, Beyond Islamophobia and anti-Semitism*, Homonationalism, http://www.homosexuels-musulmans.org/__HOMONATIONALISM__Liberation-of-homosexual-Muslims-of-France-beyond-Islamophobia-and-anti-Semitism. html (last visited Sept. 15, 2013).

[16] *In and Out of Sexual Democracies*, Facciamo Breccia, (March 23, 2011), http://www.facciamobreccia.org/content/view/516/ (for details of the conference).

[17] კონფერენცია „ჰომონაციონალიზმი და ფინქვოშინგი“, ლესბოსური და გეი კვლევების ცენტრი (April 10-11, 2013), http://homonationalism.org/

პოპულარულები ხდებიან. ევროპაში, ლიბერალური უფლებების დისკურსებსა და ორგანიზაციებს, ფერადკანიან ქვიარ ჯგუფებს, ანტირასისტულ ორგანიზაციებსა და ფერადკანიან ქვიარ აკადემიკოსებს შორის დაძაბულობა ღრმავდება. 2010 წლის ივნისში ჯუდით ბატლერმა უარი თქვა „სამოქალაქო გამბედაობის ჯილდოზე“, რომელიც მას ბერლინში Christopher Street Day Parade-მა მიანიჭა - ორგანიზაციას ანტიმიგრანტული განწყობების ისტორია ჰქონდა.[18] ამ სადაო ინციდენტმა ნათელი მოჰფინა იმ ფაქტს, რომ ლიბერალური ქვიარ ორგანიზაციები ვერ ახერხებენ, თავი დააღწიონ რასობრივი პროფილირების პრაქტიკებს და ღრმად გამჯდარ რწმენას ჰომოსექსუალობის თეთრი სეკულარული ნორმების შესახებ. ეს ინციდენტი იმასაც აჩვენებს, რომ ფართოდ გავრცელებული ტენდენციაა მხოლოდ ერთი მიმართულებით ციტირება და არა ექსპანსიურად, გვერდით, ეკლექტურად, რადგან ბატლერის „სელებრითის“ სტატუსი უფრო დიდი ინტერესის საგანი გახდა, ვიდრე ანტირასისტული ქვიარ ჯგუფები, რომლებზეც თავის საჯარო უარში ისაუბრა, ან აკადემიის სხვა წარმომადგენლები, რომლებმაც მის კრიტიკას მხარი დაუჭირეს.[19] ქვიარ ჯგუფ Outrage!-ის წევრმა, პიტერმა თეტჩელმა, რომელიც საკუთარ თავს ბრიტანეთის ყველაზე მნიშვნელოვან ლგბტ ადამიანის უფლებების აქტივისტს უწოდებს, უკვე ორჯერ სცადა (მეტ-ნაკლებად წარმატებულად) მისი აქტივობებისა და პოლიტიკის მიმართ ლეგიტიმური კრიტიკის ჩახშობა. სტატია „გეი იმპერიალიზმის“ ავტორებს, ჯინ ჰარიტაუორნს, თამსილა თოქირს და ესრა ერდემს,[20] აგრეთვე „აუტანელი მოწმის“ ავტორ სკოტ ლონგს,[21] რომელიც Human Rights Watch-შიც მუშაობდა, უკან დახევა მოუწიათ თეტჩელისგან მომავალი იმპლიციტური და ექსპლიციტური სამართლებრივი მუქარების გამო. თეტჩელს, სამწუხაროდ, ცილისწამების შესახებ ბრიტანეთის არქაული კანონები იცავს, სადაც ბრალდებული დამნაშავედ მიიჩნევა, თუკი საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.[22]

---

[18] Jasbir Puar, *Celebrating Refusal: The Complexities of Saying No*, Bully Bloggers, http://bullybloggers.wordpress.com/2010/06/23/celebrating-refusal-the-complexities-of-saying-no/#comments (last visited Jun. 23, 2010).

[19] იხ. იგივე. (აგრეთვე გირჩევთ ვებსაიტს „არა ჰომონაციონალიზმს“ (nohomonationalism.org), სადაც უფრო დეტალურად არის განმარტებული აკადემიური ციტირების პრაქტიკებში აკადემიის ფერადკანიანი წარმომადგენლების აპროპრიაციისა და ექსპლუატაციის მოვლენა. ასევე დავამატებ, რომ ბატლერის გადაწყვეტილება, უარი ეთქვა ჯილდოზე, ბევრმა ისეთმა აქტორმა აითვალწუნა, ვინც „ბუნებრივ მოკავშირედ“ მოიაზრებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მეინსტრიმულმა ქვიარ ორგანიზაციებმა მისი კრიტიკა არ მიიღეს).

[20] Jin Haritaworn et. al., *Gay Imperialism: Gender and Sexuality Discourse in the 'War on Terror', in* Out of Place: Interrogating Silences in Queerness/Raciality 9-33 (Adi Kuntsman & Esperanza Miyake eds., 2008) (ბოდიში პიტერ თეტჩელისთვის ხელმისაწვდომია: http://www.rawnervebooks.co.uk/outofplace.html); იხ. აგრეთვე Sara Ahmed, *Problematic Proximities: Or Why Critiques of Gay Imperialism Matter,* 19 (2) Fem. Legal Stud. 119-32 (2011).

[21] Scott Long, *Unbearable Witness: How Western Activists (mis)recognize Sexuality in Iran,* 15 (1) Contemp. Pol. 119-36 (2009).

[22] ციტირებაში ძალადობისა და ოპოზიციური ან „უსიამოვნო“ ანალიზის დაცენზურების ეს პრაქტიკები საოცრად დიდ ზიანს აყენებს იმ აფირმატიულ, სიცოცხლის მხარდამჭერ, ინტელექტუალურ, სოციალურ და პოლიტიკურ საზოგადოებებს, რომლის შექმნისაც ვცდილობთ. ჩვენ არა მხოლოდ თავდაცვის

სანამ ინდოეთში ჩამოვიდოდი, მქონდა შესაძლებლობა, მენახა „მე“ - ნიუ დელიში გადაღებული დოკუმენტური ფილმი, რომელიც უამრავ გეი და ლესბოსურ ფესტივალზე აჩვენეს.[23] ფილმის მაორგანიზებელი კონცეპტი ერთდროულად ღრმად პირადულიცაა და პოლიტიკურიც. რეჟისორი სონალი გულატი (წარმოშობით ნიუ დელიდან, ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს) დედის გარდაცვალებას გლოვობს, რომელსაც ვერასდროს გამოუტყდა, რომ ქალზე დაქორწინება სურდა. ფილმი დელიში სექცია 377-ის გამოცხადების შემდგომი ზეიმის სცენებით მთავრდება. ამგვარად, ფილმი დატვირთულია იმ ორი ყველაზე ცენტრალური საკითხით, რაც აშშ-ში „გეი თანასწორობის დღის წესრიგად“ არის ცნობილი - სოდომიის დეკრიმინალიზაცია და გეი ქორწინება. სცენარის წამყვანი ნარატივი წარმოდგენილია „ქამინგ აუთის“ ტროპის სახით, რომელიც უცვლელ და არაირონიულ სურვილად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ „ქამინგ აუთს“ სამხრეთ აზიელი ქვიარ თეორეტიკოსები და აქტივისტები სიღრმისეულად აკრიტიკებენ, როგორც დასავლურ ეპისტემს.[24] თავიდან ფილმი წინ წამოწევს რამდენიმე ლესბოსელ ქალს, რომლებიც მასკულინურად მიიჩნევიან და მათგან უმეტესობა შეიძლება, შეადგენდეს გეებისა და ლესბოსელების უფლებებისთვის მებრძოლი მშრომელების „ტრანსნაციონალური აქტივისტური კლასის“ ნაწილს. გულატი გვაჩვენებს იმ კონფლიქტებს, რომლებიც ოჯახური მიმღებლობის ძიებაში წარმოიშობა. ბოლოს ინდოელი

პოზიციაში მყოფი თეთრი (ქვიარ) ნორმის კვლავწარმოების საფრთხის წინაშე ვართ, არამედ უფრო პროაქტიურად, ციტირების პრაქტიკები შეიძლება რესურსების გადანაწილების ფორმას წარმოადგენდეს, რომელიც დანაწევრების, იერარქიისა და დისციპლინირების ნეოლიბერალურ ლოგიკას დაუპირისპირდება, რადგან მას ჩვენი ყურადღება სხვაგან გადააქვს. მაგრამ კიდევ უფრო მძლავრად, ეს პრაქტიკები კვლავაც იმეორებს თეთრი სეკულარული - და კვლავაც, ქრისტიანი სეკულარული - ქვიარების, ფემინისტების და სხვა ლიბერალების მარტივ ბინარულობას, მათი, ვინც შემწყნარებლურად ეკიდება რასიზმის ლიბერალურ ფორმას, რისი სანქცირებაც ხდება, და ამავდროულად, პასუხს მოითხოვს რასობრივი და რელიგიური „სხვებისგან“ მათ მშობლიურ საზოგადოებებში არსებული ჰომოფობიისა და სექსიზმის გამო. უნდა გვახსოვდეს, რომ ბინარულობა ორ თანასწორ მოთამაშეს შორის ურთიერთობას არასდროს გულისხმობს. ჩვენს შრომებში სხვადასხვა მიმართულებით ციტირება უფრო ხშირი რომ იყოს, გავიაზრებდით, რომ რელიგიურ და რასობრივ საზოგადოებებში ჰომოფობიის პრობლემა მუდმივად განიხილება. კარგი იქნება, თუ ამ საკითხს გავცდებით, რათა მეტი გავიგოთ იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს ეს სამუშაო, რადგან სხვაგვარად მოწოდებისა და რეაქციის რეჟიმს ვერასდროს დავშორდებით. ამსტერდამში „სექსუალური ნაციონალიზმების“ კონფერენციაზე გავხდი იმის მოწმე, თუ როგორ ხდება თეთრი სეკულარული ქვიარობისა და რასობრივი „სხვების“ შესახებ მათი შფოთვების რეცენტრირება, მაშინ როდესაც ამ „სხვების“ უმრავლესობა კონფერენციას არც ესწრებოდა. პოსტსტრუქტურალისტური კრიტიკის ამ დაუსრულებელ თვითციტირებადობას რეი ჩო „პოსტსტრუქტურალისტურ აღმნიშვნელობით გამომწყვდეულობას“ უწოდებს. Rey Chow, *The Age of the World Target: Self-Referentiality in War, Theory, and Comparative Work 53* (2006).

[23] *I Am,* Sonali Film, http://www.sonalifilm.com/I-AM.html (last visited Sept. 15, 2013).

[24] იხ. მაგ., *A Lotus of Another Color: An Unfolding of the South Asian Gay and Lesbian Experience* (Rakesh Ratti ed., 1993); Nayan Shah, *Sexuality, Identity, and History, in* Q&A: Queer in Asian America (David L. Eng & Alice Y. Hom eds., 1998); Jasbir Puar, *Transnational Sexualities: South ASian (Trans)nation(alism)s and Queer Diasporas*, *in* Q&A: Queer in Asian America (David L. Eng & Alice Y. Hom eds., 1998) (სამხრეთ აზიურ ქვიარ ტრანსნაციონალიზმების შესახებ).

მშობლების უმრავლესობა ჰომოსექსუალი შვილების კარგი, ლიბერალი ტოლერანტი მხარდამჭერი გამოდგება.

აღნიშნულ ფილმს სამხრეთ აზიური ლესბოსური და გეი ასოციაცია (SALGA) ნიუ იორკში სამხრეთ აზიელი მშობლების მიერ ჰომოსექსუალი ბავშვების მიმართ ტოლერანტობისა და მიმღებლობის წასახალისებლად იყენებს. აშკარაა, რომ ოჯახური მიმღებლობის მოდელად ამერიკაში „მეს" არჩევას ბიძგი მისცა „გეი ახალგაზრდების თვითმკვლელობების" სერიამ, რომელიც 2010 წლის შემოდგომაზე მოხდა.[25] მაგრამ თუკი ნამდვილად არაერთგვაროვნული ქვიარ დღის წესრიგის წინ წამოწევა გვსურს, არა მხოლოდ ოჯახური ჰომოფობია უნდა გავაკრიტიკოთ, არამედ თვით ოჯახის მოდელიც, მათ შორის ქვიარ ოჯახიც. ქვიარ ოჯახის ცნებამ - „ოჯახები, რომლებსაც ვირჩევთ"[26] - მართლაც შეიძლება, ხელი შეუწყოს ახალი და განსხვავებული ობიექტების ინტეგრირებას ოჯახის დისკურსში, მაგრამ ოჯახური აფექტის და ფსიქიკური რეპროდუქციის მიმართულება შეიძლება, კვლავაც იგივე დარჩეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ოჯახის ობიექტები და სუბიექტები შეიძლება, შეიცვალოს, მაგრამ ჰეტერონორმატიულ რეპროდუქციასთან - და ზოგ შემთხვევაში, ჰომონორმატიულ რეპროდუქციასთან დაკავშირებული პრობლემები მხოლოდ ობიექტის არჩევანის გამოცვლით არ ქრება, რაც უკვე ნანახი გვაქვს გეი თანასწორობის დღის წესრიგში არსებული შეზღუდვებით.

არის თუ არა გეი ქორწინება დღის წესრიგის მომდევნო საკითხი ინდოეთში, ისევე როგორც ეს ამერიკაშია? ვის სასარგებლოდ მუშაობს ქორწინებაზე ფოკუსირებული დღის წესრიგი? არის თუ არა რამე კავშირი სექცია 377-ის სამართლებრივ განმარტებასა (რომელიც ინდოეთში მზარდ, ხილვად საშუალო კლასის ლგბტ მოძრაობის არსებობაზე მიგვანიშნებს) და ქალებზე სექსუალური თავდასხმების ხასიათსა და ხილვადობას შორის? ამგვარი თავდასხმის მაგალითია ჯგუფური გაუპატიურება და მკვლელობა, რომელიც ნიუ დელიში, 2012 წლის დეკემბერში მოხდა. ქალები, რომლებიც გენდერულ ბინარულობაში გაწერილ როლებს არღვევენ, დაწინაურებულ სექსუალურ გათავისუფლებაზე რეაქციის გამო ხომ არ ისჯებიან?

სექცია 377-ის შესახებ ოიშიკ სირქარი წერს:

> ერთნაირსქესიანი ურთიერთობების დეკრიმინალიზაცია აშკარად სხვადასხვაგვარი სექსუალობების მიმართ მზარდი კულტურული მიმღებლობის შედეგია, რაც ლიბერალიზაციისა და გლობალიზაციის შედეგად მოხდა, ეს ცხადი ხდება სასამართლოს მრავალი მინიშნებიდან ადამიანის უფლებების საერთაშორისო სამართალსა და პრეცედენტულ სამართალზე, და უპირატესად ამერიკის შეერთებული შტატების პრეცედენტებზე. ამ ციტირებებმა გამოააშკარავა

[25] იხ. Jasbir K. Puar, *The Cost of Getting Better: Suicide, Sensation, Switchpoints*, 18 (1) GLQ: J. of Lesbian & Gay Stud. 149-58 (2012).

[26] იხ. Kath Weston, *Families We Choose: Lesbians, Gays, Kinship* (1997).

> სასამართლოს განჩინების უკან მდგარი კულტურული ლოგიკა: ინდოეთი, სოდომიის დეკრიმინალიზაციით, უნდა დაეწიოს მსოფლიოს (დასავლეთის) სხვა ნაწილებში მიმდინარე პროგრესულ განვითარებებს. როგორც ანჯალი გოპალანმა, მოსარჩელე ორგანიზაციის, Naz Foundation-ის დამფუძნებელმა, განჩინების გამოცხადების შემდეგ თქვა, „ღმერთო ჩემო, როგორც იქნა შევაბიჯეთ XXI საუკუნეში.“ ეს საზეიმო განცხადება ისტორიას იმგვარად აუჩინარებს, რომ მოჩვენებითად პროგრესული აწმყო ხელს უწყობს ქვიარ ემანსიპაციას იმის ხარჯზე, რომ თანამედროვე ინდოეთის დაუნდობელი ლიბერალური გენეალოგიების ისტორიზებული გაგების მიმართ სრულიად გვაბრმავებს.[27]

იმის მტკიცების ნაცვლად, რომ გოპალანის მიერ გაცხადებული მისწრაფებები XXI საუკუნის მიმართ,[28] უბრალოდ, ინდოეთის შემთხვევაში გამოვლენილი ჰომონაციონალიზმის ფორმაა, უფრო კეთილგონივრული იქნება, ყურადღება მივაქციოთ იმ დაშორებებსა და განსხვავებებს, რომლებიც ჰომონაციონალიზმის სხვადასხვა ფორმას წარმოქმნის. სხვადასხვა ლოკაციებზე მიმდინარე პოლიტიკურ ბრძოლაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა თემზე ორიენტირებული ნანატრი ფილმის ან სხვადასხვა ეროვნულ ლოკაციაზე გეი და ლესბოსელი აქტივისტების მოქმედებების კრიტიკას, არამედ გადაწყვეტილებას, რომ გავაცნობიეროთ ჰომონაციონალიზმი, როგორც მოუხელთებელი და არაპროგნოზირებადი პროცესი. როგორ ხდება ჰომონაციონალიზმის, როგორც კრებულის, ფორმირება ბრიტანული კოლონიალიზმის ისტორიის, ინდოეთში ლიბერალიზაციის სპეციფიკური პერიოდიზაციის, და ნეოლიბერალური კლასობრივი სტრატიფიკაციის შემოტანის მეშვეობით?

III. ისრაელის „ფინქვოშინგი“ მზარდად ჰომონაციონალისტურ სამყაროში

ჰომონაციონალიზმის, როგორც კრებულის, ამ რიტმის შენარჩუნებით - კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს პერიოდიზაციისა და პროგრესის საკითხი, ამჯერად განვიხილავ ე.წ. ფინქვოშინგს, ანუ ქვეყნის მიერ ზოგი ჯგუფის მიმართ დისკრიმინაციული პოლიტიკების გადაფარვას მცირე ჯგუფისთვის უზრუნველყოფილი გეი უფლებების ხმაურიანი რეკლამირებით.[29] პალესტინა-ისრაელზე აქ ორი მიზეზის გამო ვფოკუსირდები: პირველი,

---

[27] Oishik Sircar, *Spectacles of Emancipation: Reading Rights Differently in India's Legal Discourse*, 49 (3) Osgoode Hall L. J. 563 (2012).

[28] Elizabeth Flock, *The Law Breaker*, Forbes India, Dec. 26, 2009, *available at* http://business.in.com/printcontent/8082.

[29] 2011 წლის 11 იანვარს, თელ ავივი gayicities.com-ზე გამოკითხვით აირჩიეს „მსოფლიოს საუკეთესო გეი ქალაქად“, მან უკან ჩამოიტოვა ლონდონი, ტორონტო, ნიუ იორკი და სხვა კოსმოპოლიტური ქალაქები. იმავე დღეს პალესტინაში ჩვენი პირველი ლგბტიქ სოლიდარობის დელეგაცია რამდენიმე ანტიოკუპაციურ ორგანიზაციას ხვდებოდა, მათ შორის იყვნენ „ბოიკოტი შიგნიდან“, „ანარქისტები კედლის წინააღმდეგ“ და Zocheot, ნაქბას ხსოვნის პროექტი. ჩვენმა ერთმა სპიკერმა წარმოაჩინა ანტიოკუპაციის სირთულეები, აგრეთვე ის, რომ „ბოიკოტს, აღკვეთას და სანქციებს“ მტრის

იმიტომ, რომ ჩემი შეფასებით, ისრაელი აშშ-სთან ერთად ჰომონაციონალიზმის უმთავრესი შემოქმედია, ეს ნაწილობრივ ისრაელისა და ამერიკის კავშირების გამო ხდება, თუმცა არა მხოლოდ ამიტომ; მეორე, ისრაელის მსგავსად „ფინქვოშინგში“ არც ერთი სხვა ქვეყანა არ დაუდანაშაულებიათ, მე კი არ მგონია, რომ ფინქვოშინგი მხოლოდ ისრაელის სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი პრაქტიკა იყოს. მარტივად რომ ვთქვათ, ფინქვოშინგი განიმარტება ხოლმე, როგორც ისრაელის სახელმწიფოს მიერ ლგბტ უფლებების კუთხით თავისი ბრწყინვალე ისტორიის გამოყენება პალესტინის ოკუპაციიდან ყურადღების გადასატანად, ან ზოგ შემთხვევაში, ოკუპაციის გამართლებისა თუ ლეგიტიმაციისთვისაც. ფინქვოშინგი მოქმედებს გლობალიზებული ისლამოფობიის დამყოლ ველში, რაც 9/11-ის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა და ასევე, დამოკიდებულია ცივილიზაციურ ნარატივზე, რომელიც ისრაელელების მოდერნულობას პალესტინელების ჩამორჩენილ ჰომოფობიას უპირისპირებს; შესაბამისად, ფინქვოშინგი იქცა ფართოდ გამოყენებულ იარლიყად, რომელიც ისრაელის დემოკრატიის სახედ ლგბტ სხეულების ცინიკურ წარმოჩენას აღნიშნავს. ის, როგორც ასეთი, დისკურსული პრევენციული თავდაცვის ფორმასავით ფუნქციონირებს.

რატომ არის ფინქვოშინგი, როგორც პოლიტიკური დისკურსი, ასე მარტივად გასაგები და დამაჯერებელი? პირველ რიგში, ნეოლიბერალური, ადაპტირებადი ეკონომიკური სტრუქტურა სხვადასხვა ეთნიკურ და უმცირესობის წარმომადგენელ ჯგუფებზე მიმართულ ნიშურ მარკეტინგს წარმოქმნის, ამის შედეგია ისიც, რომ მოხდა გეიმეგობრულ და არაგეიმეგობრულ ლოკაციებს შორის დისკურსულ განსხვავებაზე დაშენებული გეი და ლესბოსური ტურიზმის ინდუსტრიის წარმოქმნის ნორმალიზაცია. იმ ქვეყნების უმრავლესობას, რომლებიც დასავლური ან ევროპული მოდერნულობის ფორმებს ესწრაფვიან, ახლა გეი და ლესბოსური ტურიზმის მარკეტინგის კამპანიებიც აქვთ. ამ გაგებით, ისრაელიც იმავეს აკეთებს, რასაც სხვა სახელმწიფოები, და რაც გეი და ლესბოსური ტურიზმის ინდუსტრიის მიერ არის წახალისებული: საკუთარ თავს არეკლამებს. რა თქმა უნდა, თვალშისაცემია, რომ ამ სარეკლამო კამპანიას ბევრად უფრო მეტი ზიანი მოაქვს, როდესაც იგი ოკუპაციასთან არის კავშირში. მაგრამ შესაძლოა, ასევე გაგვიჩნდეს კითხვები „ბრენდი ისრაელის კამპანიის“ სპეციფიკის შესახებ, რომელიც ისრაელის ფინქვოშინგის დასაბამად არის გამოცხადებული. რითი განსხვავდება ბრენდი ისრაელის კამპანია სხვა კონვენციური სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სარეკლამო კამპანიისგან, რომლის სამიზნე ჯგუფიც გეი და ლესბოსელი ტურისტები არიან?[30]

გარდა ამისა, ისრაელი, გარკვეული აზრით, ჰომონაციონალიზმის პიონერია, რადგან მისი სპეციფიკური პოზიცია კოლონიალიზმის, ოკუპაციისა და ნეოლიბერალიზმის გადაკვეთაზე

ტერიტორიაზე უწევს მოქმედება, როდესაც მოსწრებულად შენიშნა: „ესე იგი, ახლა თელ ავივი საუკეთესო გეი ქალაქია. ამასთან ერთად ის დედამიწაზე ყველაზე ნაკლებად არაბული ქალაქია. თელ ავივის ქუჩებში არაბულ ლაპარაკს ძალიან იშვიათად თუ მოჰკრავთ ყურს.“

[30] იხ. Sarah Schulman, *A Documentary Guide to Pinkwashing*, Prettyqueer, http://www.prettyqueer.com/2011/11/29/a-documentary-guide-to-pinkwashing-sarah-schulman-newyork-times-oped/ (last visited Sept. 15, 2013) (შულმანი „ბრენდი ისრაელის“ შესახებ).

ჰომოსექსუალობის ნორმალიზაციისთვის შესანიშნავ ატმოსფეროს წარმოქმნის. ისრაელის ჰომონაციონალისტური ისტორიის - ისრაელში ლგბტ უფლებების დაცულობის, გეებისა და ლესბოსელებისთვის გადაადგილების გაადვილების - პარალელურად მიმდინარეობდა პალესტინელი მოსახლეობის მზარდი სეგრეგაცია და გადაადგილების გართულება, განსაკუთრებით, ოსლოს შეთანხმების შემდეგ.[31] სხვა სტატიაში ეს საკითხი უფრო დეტალურად მაქვს განხილული, აქ კი მოკლედ შევაჯამებ: ისრაელში გეი უფლებების აღმავლობა დაახლოებით იმავე დროს დაიწყო, როდესაც პირველი ინტიფადა, ამას მოყვა 1990-იანები, რომელიც ისრაელის „გეი დეკადად" არის ცნობილი, რის ფარგლებშიც მოხდა ისრაელის თავდაცვის ძალებში ჰომოსექსუალობის ლეგალიზაცია, სამუშაო ადგილზე ანტიდისკრიმინაციული გარანტიები და ბევრი სხვა საკანონმდებლო ცვლილება.[32]

ფინქვოშინგი მოქმედებს ოკუპაციის კონტროლის სივრცობრივი ლოგიკის წაშლით და აპართეიდის ჩახლართული და ერთგვარად ინტიმური სისტემით, რომელიც გაჯერებულია პალესტინელთა გადაადგილებისთვის ლოკაციური დაბრკოლებების თავბრუდამხვევი ნაკადით. ქვიარ პალესტინელ აქტივისტებს, რომლებიც რამალაში ცხოვრობენ, სხვა პალესტინელ აქტივისტებთან შესახვედრად ჰაიფაში, იერუსალიმსა ან ღაზაში გამგზავრება არ შეუძლიათ; ეს ერთ-ერთი ყველაზე აშკარა გამოხატულებაა იმისა, თუ როგორ ზღუდავს და, მეტიც, სპობს ისრაელის ოკუპაცია ქვიარ თემის განვითარებისა და ორგანიზების შესაძლებლობებს, რასაც თავად ისრაელელები ყოველგვარი სირთულის გარეშე იღებენ.

ნაცვლად იმისა, რომ გადაადგილებასა და შეკრებაზე ხელმისაწვდომობა ქვიარ იდენტობისა და თემის შემადგენლად გაიგოს, ფინქვოშინგი აძლიერებს კულტურების შეჯახებების იდეოლოგიებს და იდეას პალესტინური ჰომოფობიის „კულტურული განსხვავებულობის" შესახებ, მაშინ როცა აპართეიდის შემბორკავ და სულისშემხუთველ სივრცობრივ და ეკონომიკურ ეფექტებს არ აღიარებს. როდესაც დასავლეთ სანაპიროზე ან ღაზას სექტორში ჰომოსექსუალების მიმართ მოპყრობა განიხილება, არ არის გათვალისწინებული გადაადგილებაზე, კონტაქტსა და ორგანიზებაზე არსებული მუდმივი და ყოვლისმომცველი შეზღუდვები, რაც ხელს უშლის ნებისმიერი ფორმის ქვიარ თემისა და პოლიტიკის წარმოქმნას. ცხადი ხდება, რომ დასავლეთ სანაპიროსა და ღაზას სექტორში ჰომოსექსუალების სტატუსზე მოჩვენებითი წუხილი გამოყენებულია სწორედ იმავე ჰომოსექსუალების ჩახშობისა და მათთვის საფრთხის შექმნაში დადანაშაულებისგან ოკუპაციის დასაცავად. მეტიც, თავისთავად ლგბტ უფლებების პროექტი ეფუძნება მისაღები პალესტინელი ქვიარ სუბიექტის შეუძლებლობას/არარსებობას/არაღიარებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს სუბიექტი ისრაელის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული. ეს პროექტი

---

[31] იხ. Rebecca Luna Stein, *Explosive: Scenes from Israeli Queer Occupation*, 16 (4) GLQ: J. Lesbian & Gay Stud. 517-36 (2010).

[32] იხ. Jasbir K. Puar, *Citation and Censorship: The Politics of Talking About the Sexual Politics of Israel*, 19 (2) Fem. Legal Stud. 133-42 (2011).

თელ ავივის „გეი თავშესაფარს“[33] მთელი ქვეყნის სახედ აცხადებს და არ უღრმავდება არაბების ეთნიკური წმენდის საკითხს, ამავდროულად კი, ინარჩუნებს იერუსალიმს, როგორც რელიგიურ დაზღვევას.

რადგან ტერმინ „ფინქვოშინგის“ გამოყენება ანტიოკუპაციურ ფორუმებზე საერთაშორისო მასშტაბით მატულობს, ის ჰომონაციონალიზმის უფრო ფართო გეოპოლიტიკურ კონტექსტში უნდა განვიხილოთ. უნდა ითქვას, რომ თუ ფინქვოშინგი ეფექტურია, ეს იმიტომ არ ხდება, რომ ისრაელის მთავრობა რამე განსაკუთრებულად საზიანოს სჩადის, არამედ იმიტომ, რომ ისტორიაც და გლობალური საერთაშორისო ურთიერთობებიც ხელს უწყობს ამ მოვლენას. ამიტომ შესაძლოა, ისრაელის სახელმწიფოს მხილება მნიშვნელოვანი იყოს, მაგრამ ეს იმის აღიარების პარალელურად უნდა მოხდეს, რომ ჰომონაციონალიზმის კრებული ცალკეული სახელმწიფოს, მათ შორის, ისრაელის, ექსპლიციტურ ქმედებებზე ბევრად მეტია. „ტერორისტ კრებულებში“ ჩემს თეორიულ დებულებებზე დაყრდნობით ვაცხადებ, რომ მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ ფინქვოშინგი ეფექტური სტრატეგია ჩანს არა აუცილებლად ისრაელის სახელმწიფოს განსაკუთრებული ქმედებების გამო, არამედ კოლონიური ძალადობის ისტორიის, საერთაშორისო ლგბტ ტურიზმის ინდუსტრიის, გეი და ლესბოსელი ადამიანის უფლებების ინდუსტრიის, და ბოლოს, აშშ-ს როლის გამო.

ფინქვოშინგი უბრალოდ იმპერიული/რასობრივი/ნაციონალური ძალადობის კიდევ ერთი გამართლებაა, რასაც დიდი ისტორია აქვს. როგორ მოხდა, რომ კოლონიური ეპოქის „ქალთა საკითხი“ „ჰომოსექსუალთა საკითხმა“ ჩაანაცვლა და ახლა ის გვევლინება ურთიერთობის დამრეგულირებლად მოდერნულობას და ტრადიციას, მოქალაქესა და ტერორისტს, ჰომონაციონალისტსა და ქვიარს შორის? როგორც პართა ჩატერჯი განმარტავს, ეს საკითხი გარკვეული ძალით აღმოცენდა სამხრეთ აზიის დეკოლონიზაციის მოძრაობებში და სხვაგანაც, რის შედეგადაც ახალი პოსტკოლონიური მთავრობის უნარი, ადგილობრივი ქალები ტრადიციად მონიშნული მჩაგვრელი პატრიარქალური პრაქტიკებისგან დაეცვა, იქცა ბარომეტრად, რომლის საშუალებითაც კოლონიური მმართველობა კოლონიზებულთათვის პოლიტიკურ შეღავათებს არეგულირებდა.[34] სხვა სიტყვებით, აქ ვიმეორებთ გაიატრი სპივაკის ცნობილ გამონათქვამს, „თეთრი კაცები იცავენ ყავისფერ ქალებს ყავისფერი კაცებისგან.“[35]

ამ ვითარებამ დაუდო დასაბამი განგრძობით დრამას ფემინისტებს, რომლებიც კოლონიურ და ნეოკოლონიურ რეჟიმებს აპროტესტებენ, და ნაციონალისტებს შორის, რომლებიც დეკოლონიზაციისთვის საკუთარ ბრძოლაში ფემინისტების არსებობას და პოლიტიკას

---

[33] Ben Hartman, *Tel Aviv named ‘world’s best gay city’ for 2011*, Jerusalem Post, Nov. 1, 2011, ხელმისაწვდომია: http://www.jpost.com/LifeStyle/Article.aspx?id=253121.

[34] Partha Chatterjee, *The Nationalist Resolution of the Women’s Question* in Recasting Women: Essays in Colonial History 233-253 (Kumkum Sangari and Sudesh Vaid eds., 1990).

[35] G.C. Spivak, *Can the Subaltern Speak? in* Marxism and the Intepretation of Culture 271-313 (Lawrence Gossberg and Cary Nelson eds., 1988).

უგულებელყოფენ. ისიც შეგვიძლია, დავამატოთ, რომ „ქალთა საკითხი“ არც გამქრალა, მაგრამ ახლა მას დაემატა ის, რასაც „ჰომოსექსუალთა საკითხს“ ვუწოდებთ, რაც ჰომონაციონალიზმის მოქმედების კიდევ ერთი გამოვლინებაა. „ქალთა საკითხის“ პირობები შეიცვალა, რადგან ფემინისტი თეორეტიკოსები ახლა სხვა ქალების მოდერნულობის - ან „სხვა ქალის“ მოდერნულობის - მსაჯულები ხდებიან. სპივაკის XXI საუკუნისთვის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ: „თეთრი ქვიარები (კაცები) იცავენ ყავისფერ ჰომოსექსუალებს ყავისფერი ჰეტეროსექსუალებისგან.“

შეგვიძლია, დავინახოთ, როგორ ხდება გადასვლა „ქალთა საკითხიდან“ „ჰომოსექსუალთა საკითხზე“; საჭიროა ამის კონტექსტუალიზაცია სხვადასხვა ლოკაციებზე, რათა ამ ტრაექტორიების ლოგიკა გავიგოთ. პირველი, ქალების საკითხზე ჰომოსექსუალობის დამატება ორი პროცესის შერწყმის შედეგია: პოსტკოლონიური სახელმწიფო საკუთარ რესპექტაბელობასა და ლეგიტიმურობას განამტკიცებს, რათა კოლონიურ „მამას“ დაუმტკიცოს, რომ აქვს უფლება სუვერენულობაზე,[36] მეორე პროცესი კი ისაა, რომ ნეოლიბერალური ეკონომიკების საშუალებით ხდება ჰომოსექსუალი სუბიექტების ჩართვა ან აღიარება სამართლებრივ და მომხმარებლურ ლეგიტიმურობაში, იმგვარად, რომ ჰომოსექსუალები, რომლებიც ერთ დროს სიკვდილის (შიდსის) მხარეს მოიაზრებოდნენ, ახლა სიცოცხლის მხარეს არიან ან ერის მშენებლობისთვის პროდუქტიულ რესურსს წარმოადგენენ. მეორე, „ჰომოსექსუალთა საკითხი“ სინამდვილეში „ქალთა საკითხის“ გამეორებაა, რამდენადაც იგი ახდენს გენდერულ გამორჩეულობაზე მოთხოვნის კვლავწარმოებას და გენდერის ბინარულობის განგრძობით კვლავწარმოებას ეფუძნება. ის ჰომოსექსუალები, რომელთა მიმართაც ერ-სახელმწიფოს „სწორად“ მოპყრობა მოეთხოვება, „გენდერქვიარები“ არ არიან. პირიქით, ისინი ჰომოსექსუალური იდენტობის საშუალებით, და არა მის მიუხედავად, გენდერულ ნორმებს კვლავწარმოქმნიან. ფინქვოშინგი მალავს იმას, რომ ტრანსგენდერი და გენდერულად არაკონფორმული ქვიარები მისაღები „ჰომონაციონალისტი“ ისრაელის მოქალაქის ამ ახალ ვერსიას არ შეესაბამებიან.[37]

ფინქვოშინგი იმასაც ფარავს, რომ გამუდმებით ხდება „ქალთა საკითხის“ „ჰომოსექსუალთა საკითხზე“ ნაკლებად მნიშვნელოვნად წარმოჩენა, როდესაც ეს უკანასკნელი უპირატესად პირველსამყაროელ, თეთრ, მამრ სხეულებს უკავშირდება, როგორც ეს ისრაელის შემთხვევაშია (მაგალითად, ისრაელის ულტრაორთოდოქსულ თემებში გენდერული სეგრეგაციის შესახებ დებატები ჯერაც აქტიურია). გავიხსენებ „ჰომოსექსუალთა საკითხის“ მიერ „ქალთა საკითხის“ უკან დახევის კიდევ ერთი მაგალითს: 2011 წლის 11 იანვარს, იმავე დღეს, როცა თელ ავივს „მსოფლიოს საუკეთესო გეი ქალაქად“ გამოცხადების საეჭვო პატივი ერგო, უზენაესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ისრაელის კანონში მოქალაქეობის შესახებ შესწორების შეტანას, რომელიც დასავლეთსანაპიროელ პალესტინელებს ისრაელში მყოფ

---

[36] იხ. M. Jacqui Alexander, *Not Just (Any) Body Can Be a Citizen: The Politics of Law, Sexuality and Postcoloniality in Trinidad and Tobago and the Bahamas,* 48 Fem. Rev. 5-23 (Autumn 1994).

[37] იხ. Alisa Solomon, *Viva la Diva Citizenship: Post-Zionism and Gay Rights, in* Queer Theory and the Jewish Question, 149-65 (Daniel Boyarin et. al. eds., 2003).

მეუღლეებთან გაერთიანებას უკრძალავს.[38] ამას ემატება „სოციალური შესაფერისობის“ კანონების მიღება,[39] უცხოელ მშრომელებსა და ადგილობრივ ებრაელებს შორის სექსუალური ურთიერთობების დარეგულირების მცდელობები, არაფორმალური ჯგუფები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებიც აკვირდებიან და აგიტაციას ეწევიან ებრაელ ქალებსა და პალესტინელ კაცებს შორის სექსუალური კავშირების წინააღმდეგ; აქ სრულიად აშკარაა, რომ ლგბტ გათავისუფლება გამოყენებულია (ჰეტერო)სექსუალური რეგულირების ინტენსიური ფორმებისგან ყურადღების გადასატანად, რეგულირების, რომელიც ესწრაფვის, შეზღუდოს სექსუალური, რეპროდუქციული და ოჯახური აქტივობები ყველა იმ სხეულისთვის, რომელიც ისრაელის სხეულის პოლიტიკისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევა. ამრიგად, ფინქვოშინგის მოქმედება არა მხოლოდ პალესტინელი მოსახლეობის ჰომოფობებად თუ არაჰომოფობებად წარმოჩენაში გამოიხატება, რადგან ბიოპოლიტიკური სამიზნე ჰომოსექსუალებზე უფრო მეტად ჰეტეროსექსუალური რეპროდუქციის კონტროლია, განსაკუთრებით პალესტინელებსა და ებრაელებს შორის.[40]

პალესტინელი ქვიარ აქტივისტები აცხადებენ, რომ პალესტინური საზოგადოება ჰომოფობიურია თუ არა, ეს საკითხი არარელევანტურია და პალესტინურ საზოგადოებაში ჰომოფობიის საკითხი არაფერ შუაშია იმ ფაქტთან, რომ ოკუპაცია უნდა დასრულდეს. პოლიტიკური პლატფორმისთვის, რომელიც შედგება ორგანიზაციებისგან „პალესტინელი ქვიარები ბოიკოტის, აღკვეთისა და სანქციებისთვის“ და „Al-Qaws პალესტინურ საზოგადოებაში სექსუალური და გენდერული მრავალფეროვნებისთვის,“ ქვიარ ორგანიზება ანტიოკუპაციური ორგანიზებაა; აგრეთვე, ანტიოკუპაციური მუშაობა ქვიარ ორგანიზებაა. „პალესტინელი ქვიარები“ არ არის ლიბერალური პროექტი, რომელიც „ნაციონალისტურ“ მოძრაობაში მიმღებლობას, ტოლერანტობას ან ინკლუზიას მოითხოვს. ამის ნაცვლად, თავისი ბრძოლის უპირველეს სამიზნედ ოკუპაციის ქცევით „პალესტინელი ქვიარები“ ნელა, სტრატეგიულად და სიფრთხილით ითხოვს და ქმნის სისტემურ და სიღრმისეულ ცვლილებებს არსებითად თვით პალესტინურ საზოგადოებაში. Al-Qaws-ი აცხადებს, რომ მისი უმთავრესი

---

[38] Jasbir K. Puar, *The Golden Handcuffs of Gay Rights: How Pinkwashing Distorts Both LGBT and Anti-Occupation Activism*, Fem. Wire (Jan. 30, 2012), http://thefeministwire.com/2012/01/the-golden-handcuffs-of-gay-rights-how-pinkwashing-distorts-both-lgbtiqand-anti-occupation-activism/; Ben Hartman, იხ. შენიშვნა 33; Dan Izenberg & Rebecca Anna Stoil, *High Court rejects petition against citizenship law*, Jerusalem Post, http://www.jpost.com/Diplomacy-and-Politics/High-Court-rejects-petition-against-citizenship-law (last updated Nov. 1, 2012).

[39] Edmund Sanders, *New Israeli Laws will increase discrimination against Arabs, critics say*, L.A. Times, Mar. 24, 2011, ხელმისაწვდომია: http://articles.latimes.com/2011/mar/24/world/lafg-israel-arab-laws-20110324; *'Social Suitability' nears OK as Israeli Housing Criterion*, Israel Religious Action Center, http://www.irac.org/NewsDetailes.aspx?ID=846 (last visited Sep. 15, 2013).

[40] Jasbir Puar, *Affective Politics: States of Debility and Capacity* (forthcoming 2014) (არგუმენტაციის ეს ხაზი ჩემს ახალ მონოგრაფიაში წინ უძღვის თავს სექსის, რეპროდუქციული უფლებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების შესახებ პალესტინა/ისრაელში).

მიზანი ოკუპაციის დასრულებაა და არა იმ ჰომოსექსუალური იდენტობის განმტკიცება, რომელიც „ისრაელის“ ან „დასავლური“ სექსუალური თავისუფლების თვითინტერესიან ფორმას ირეკლავს.[41]

ეს მნიშვნელოვანი ტაქტიკაა გეებისა და ლესბოსელების ადამიანის უფლებების ინდუსტრიაში, რომელიც ავრცელებს იდენტობის იმ ევრო-ამერიკულ კონსტრუქტებს (რომ აღარაფერი ვთქვათ თვით იმ დაშვებაზე, რომ სექსუალურ იდენტობაზე მიჯაჭვულობას უნივერსალური ხასიათი აქვს), რომლებიც უპირატესობას ანიჭებს იდენტობის პოლიტიკას, „ქამინგ აუთს“, საჯარო ხილვადობას, საკანონმდებლო ღონისძიებებს, როგორც სოციალური პროგრესის დომინანტ საზომებს, ხოლო „ჰომოფობიას“ უინტერესოდ იყენებს, როგორც ავტომატურ, გამაერთიანებელ, გამოცდილ სქემას. ამიტომ, შესაძლოა, ჯოზეფ მასადის მიერ “Gay International-ის” მკაცრ კრიტიკას არ დავეთანხმოთ, მაგრამ კარგი იქნება, ვიკითხოთ, როგორ შეძლებს სარა შულმანის მიერ შემოთავაზებული “Queer International-ი” ამის ალტერნატივად ან ანტიდოტად იქცეს.[42] უნდა დავუშვათ, რომ უბრალოდ „გეის“ ნაცვლად „ქვიარად“ არტიკულირებით, და გლობალური სოლიდარობის მოძრაობის მეშვეობით, “Gay International-ის” ხარვეზები აღმოიფხვრება? რას ნიშნავს ქვიარის ამგვარი პოზიციონირება, სადაც ის ტრანსგრესიულად, მორალურად და პოლიტიკურად სუფთად და ძალაუფლების მიღმა მდგომად საღდება?

ამრიგად, ფინქვოშინგი ისაა, რასაც მიშელ ფუკო „დისკურსის წახალისებას“ უწოდებს,[43] აღმსარებლობის გამააქტიურებელი ფორმა, რომელიც მოწოდებისა და მასზე რეაქციის საშუალებით განადიდებს იმავე იდენტობას, რომელსაც შეუძლებლად მიიჩნევს. დისკურსის ამ წახალისებაზე ლიბერალური რეაქციის მიუღებლობა - როგორიცაა „ჩვენ აქ ვართ, ჩვენ ქვიარები ვართ, მიეჩვიე ამას“ თანამედროვე ვერსია - მიანიშნებს, რომ ვიღაცებს შეიძლება, არ სურდეთ ფინქვოშინგს უპასუხონ როგორც (უპირატესად ან მხოლოდ) ქვიარებმა, რადგან ამგვარი პასუხი აძლიერებს ფინქვოშინგის ერთლერძიანი იდენტობის ლოგიკას, რომელიც „ქვიარის“ სხვა იდენტობებისგან იზოლირებას ახდენს. ფინქვოშინგი არ არის თავისთავად ქვიარ საკითხი და არც მხოლოდ ქვიარებს იყენებს სახელმწიფოს მიზნების მისაღწევად. ამ გაგებით, ფინქვოშინგი სულაც არაა კავშირში სექსუალურ იდენტობასთან, არამედ იგი იდენტობის რეგულირების მძლავრი გამოხატულებაა მზარდად ჰომონაციონალისტურ სამყაროში - სამყაროში, რომელიც ერს იმაზე დაყრდნობით აფასებს, თუ როგორ ექცევა იგი თავის ჰომოსექსუალებს. მაშასადამე, გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ ევრო-ამერიკელ ლიბერალ ან ესტაბლიშმენტის წარმომადგენელ გეებს (რომლებიც ფინქვოშინგის უმთავრესი

---

[41] იხ. მაგ. http://www.alqaws.org/q/en/content/signposts-al-qaws-decade-building-queerpalestinian-discourse.

[42] Interview by Félix Boggio Éwanjé-Épée & Stella Magliani-Belkacem with Joseph Massad, Associate Professor, Columbia University, ხელმისაწვდომია: http://www.jadaliyya.com/pages/index/10461/the-empire-of-sexuality_an-interview-with-Joseph; Sarah Schulman, *Israel/Palestine and the Queer International* (2012).

[43] Michel Foucault, *The Will to Knowledge: History of Sexuality* vol 1 (Robert Hurley trans.,1998).

სამიზნეები არიან), არ მივცეთ უფლება, რომ ანტიფინქვოშინგის აქტივიზმის სცენარი „პალესტინელი ქვიარებისა“ და Al-Qaws-ის რადიკალურ არალიბერალურ მიდგომას დააშორონ. თუ ამას ვერ შევძლებთ, რაზეც ბრწყინვალედ საუბრობს მაია მიკდაში, და ლიბერალური ევრო-ამერიკული ქვიარ პოლიტიკის მიერ რადიკალური პალესტინური ქვიარ პოლიტიკის გადაწერა მოხდება, ეს უდაოდ ჰომონაციონალიზმის მეტ გამყარებას მოასწავებს.[44] ფინქვოშინგის წინააღმდეგ “Queer International-ის” პლატფორმის საშუალებით ორგანიზებამ შესაძლოა, უნებურად შექმნას ხელსაყრელი პირობები ფინქვოშინგის დისკურსისთვის, რომელიც ამტკიცებს, რომ უფლებების საშუალებით გამყარებული ქვიარ იდენტობა ის უპირატესი წესია, რომლითაც სექსუალურმა სუბიექტურობებმა უნდა იარსებოს.

და ბოლოს, როდესაც ვმსჯელობთ იმაზე, თუ რატომ ჩანს ფინქვოშინგი ეფექტური დისკურსული სტრატეგია, არ უნდა დაგვავიწყდეს ამერიკული და ისრაელის კოლონიალიზმების ფინანსური, სამხედრო, აფექტური და იდეოლოგიური გადაჯაჭვულობა და, უფრო ზოგადად, აშშ-ს როლი. ჩემი აზრით, თანამედროვე გლობალურ გეოპოლიტიკურ წესრიგში აშშ და ისრაელი ჰომონაციონალიზმის მთავარი ბენეფიციარები არიან, რამდენადაც ის წარმოქმნის გამორჩეულობებს შინაგანის, ტერიტორიულისა და გლობალურის სკალურ რეგისტრებზე. უფრო მეტიც, ფინქვოშინგი დიდწილად აშშ-ს - ისრაელის უდიდეს საერთაშორისო ფინანსურ მხარდამჭერს - მიემართება, უფრო ზოგადად კი, ევრო-ამერიკელ გეებს, რომლებსაც ისრაელში ინვესტირებისთვის საჭირო პოლიტიკური კაპიტალი და ფინანსური რესურსები გააჩნიათ. ფინქვოშინგის დებულებები ხშირად სარწმუნო ჩანს მაშინ, როდესაც ლგბტ უფლებების დისკურსით არის წარმოდგენილი, რომელიც ჩრდილოეთ ამერიკასა და ევროპაში ტელეოლოგიური პროგრესის მთავარი საზომია. თუმცა, ის ნაკლებად სარწმუნოდ გამოიყურება, მაგალითად, შუა აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში, სადაც ლგბტ უფლებების დისკურსთან მიმართებაში ჯანსაღი სკეპტიციზმი არსებობს და სადაც რეგიონში სექსუალობების კომპლექსურობის შესახებ უფრო ნიუანსირებული ცოდნა აქვთ. მაშასადამე, ამერიკელი გეებისთვის ფინქვოშინგის მიმზიდველობას არაცნობიერად განაპირობებს ამერიკული კოლონიალიზმის წაშლა, რასაც თან ერთვის ისრაელის მიერ პალესტინის ოკუპაციაზე მდუმარე თანხმობა.

IV. სექსუალობა, აფექტი, ვირუსულობა

ეს ბოლო ნაწილი ექსპერიმენტული და სპეკულატიურია. აქ მინდა ხაზი გავუსვა იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, ჩამოვშორდეთ მოწოდებისა და რეაქციის პროცესს, რომელიც „მეინსტრიმულ/გლობალურ ქვიარს“ და „ფერადკანიან/არადასავლელ ქვიარს“ შორის დაპირისპირებას ეფუძნება. აქამდე განვიხილე, თუ რა ბედი ეწია ჰომონაციონალიზმის

[44] Maya Mikdashi, *Gay Rights as Human Rights: Pinkwashing Homonationalism,* Jadaliyya, (Dec. 16, 2011), http://www.jadaliyya.com/pages/index/3560/gay-rights-as-human-rights_pinkwashing-homonationa.

კონცეპტს და როგორ იქნა ის ათვისებული, ზოგ შემთხვევაში კი, რედუცირებული, როგორც აქტივისტური ორგანიზების პლატფორმა, რომელიც ახლოსაა ქვიარ თემში რასიზმისა და ნაციონალიზმის პოლიტიკურ კრიტიკასთან. გარდა ამისა, ვცადე, განმემარტა ჰომონაციონალიზმი, როგორც კრებული: მოდერნულობის სტრუქტურა, გეოპოლიტიკური და ისტორიული ძალების შერწყმა, ნეოლიბერალური დაინტერესება კაპიტალისტური დაგროვების როგორც კულტურული, ასევე მატერიალური ფორმით, მოსახლეობის კონტროლის ბიოპოლიტიკური სახელმწიფო პრაქტიკები და აფექტური ინვესტიციები თავისუფლების, გათავისუფლებისა და უფლებების დისკურსებში. გარდა ამისა, შევეცადე, შემექმნა სახელდახელო მონახაზი იმაზე, თუ როგორ წარმოქმნის ჰომონაციონალიზმი, როგორც კრებული, გლობალურ ველს, რომელშიც ისრაელ/პალესტინასთან დაკავშირებული ფინქვოშინგის დისკურსი იკიდებს ფეხს. მნიშვნელოვანია, დავინახოთ ისრაელი არა მხოლოდ ჰომონაციონალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც ანტიფინქვოშინგის აქტივისტებმა წინააღმდეგობა უნდა გაუწიონ, არამედ თვალსაჩინო გახდეს ის კომპლექსური გლობალური და ისტორიული აპარატი, რომელიც ისრაელის სახელმწიფოს ქმედებებს ლეგიტიმურად და პროგრესულად წარმოაჩენს. ამ ბოლო ნაწილში სექსუალობას განვმარტავ, როგორც აფექტს, როგორც შეგრძნებასა და ბიოპოლიტიკური კონტროლის კრებულის ნაწილს, რომელიც ჰომონაციონალიზმის კონცეპტის ნებისმიერ მოქნილ გამოყენებას უსხლტება.

სექსუალობას, როგორც აფექტურ ქსელს თან ახლავს აღმნიშვნელობის ღერძი და იმ ძალების ღერძი, რომლებიც რეგიონის ე.წ. მატერიალურ კონფიგურაციებს არ შეესაბამება, კონფიგურაციებს, რომლებიც ლიბერალური, თუმცა სასტიკი ჰუმანიზმის დანამატების სახით, აწარმოებენ იმგვარ მონოლითებს, როგორებიცაა „ისრაელელი კაცი/ქალი (და მისი მოდერნისტული სექსუალობა)“ და „პალესტინელი კაცი/ქალი (და მისი პათოლოგიური სექსუალობა).“ თუკი ჰომონაციონალიზმსაც და სექსუალობასაც კრებულებად განვიხილავთ, ტერიტორიალიზაციის განსხვავებული ტრაექტორია ან სიბრტყე იხსნება. აღიარების პოლიტიკა რესპექტაბელობას იძენს ისრაელისა და გლობალური გეი დისკურსებით და ფინქვოშინგის საშუალებით, მაგრამ სექსუალური პრაქტიკისა და თვით სექსუალობის მატერიალურობა ბევრად უფრო კომპლექსურია, უფრო გაშუალებული და პირობითი, ვიდრე ის, რის საშუალებასაც კონტროლისა და წინააღმდეგობის სტაგნაციური პოლიტიკა იძლევა.

სექსუალობის ამგვარ გაგებას უნდა მოჰყვეს არა მხოლოდ სპეციფიკური დისციპლინური სივრცეების, არამედ სოციალური კონტროლის უფრო ფართო ტექნიკების თეორიტიზაცია, იმის გათვალისწინებით, რომ „ფემინიზმი“ და „ქვიარი“ და მათი სუბიექტების სიკვდილი ან სასიცოცხლო პოტენციალი მმართველობისთვის უკვე პროდუქტიული გახდა. დისციპლინისა და კონტროლის შესახებ დებატები მიანიშნებს ცვლილებაზე ნორმატიულობის რეგულირებიდან (მე/სხვის სუბიექტის ფორმირების ინტერნალიზაცია) იქამდე, რასაც ფუკო სხეულების რეგულირებას უწოდებს. შემოთავაზებულია დისციპლინასა (ექსკლუზია და ინკლუზია) და კონტროლს (გარდაქმნა, ცვლილება) შორის ურთიერთობების მრავალი გაგება: საბაზრო კაპიტალიზმისა და governmentality-ის გადამკვეთი, თუმცა პროგრესული ეტაპები; ძალაუფლების სხვადასხვა მოდელი და განხორციელება, რომლებიც თანაარსებობენ;

დისციპლინური აპარატების ეფექტი - კონტროლი სანიმუშო დისციპლინური საზოგადოების განსახიერებაა (სადაც დისციპლინური ძალაუფლების ფორმები სცდება საკუთარ სივრცეებს და ყველგან ვრცელდება); და ბოლოს, დისციპლინა, როგორც კონტროლის ფორმა და პასუხი კონტროლის ზრდაზე.

დისციპლინურ საზოგადოებებსა და კონტროლის საზოგადოებებს შორის ამ მონაცვლეობაში, სექსუალობა არა მხოლოდ სხეულებშია განთავსებული, არამედ გაბნეულია სივრცეებში. ამრიგად, სექსუალობა, როგორც აფექტური მოდალობა, თავისი განსაზღვრებით არარეპრეზენტაციულია, გამორჩეული ვერსიაა იმისა, რასაც დავიდ პანაგია უწოდებს „მექანიზმებს, რომლებითაც შეგრძნება საღ აზრში ერევა.“[45] მიშელ ფუკოს „უსაფრთხოების რეჟიმებისა“ და ჟილ დელეზის „კონტროლის საზოგადოების“[46] მიხედვით, დაძაბულობები ფორმირდება, როგორც გადასვლა ნორმალური/არანორმალურიდან (ჰომო-ჰეტერო ბინარულობა) მრავალფეროვნების, გარდაქმნისა და ცვლილებისკენ (სექსუალობა, როგორც შეგრძნება); დასჯის ცალკეული სივრცეებიდან (ციხე, ფსიქიატრიული საავადმყოფო, სკოლა, პალესტინაში კი სასაზღვრო პუნქტები, რომლებიც ყოველგვარი ლოგიკის გარეშე ჩნდება და გადაადგილდება, და „უსაფრთხოების“ კედელი, რომლის ძირითადი ფუნქცია, როგორც ჩანს, ის არის, რომ ხელი შეუშალოს პალესტინელებს საკუთარ სოფლებამდე, ფერმებამდე და სხვა პალესტინელებთან მისვლაში) თავდაცვის პრევენციულ რეჟიმებამდე (ფინქვოშინგს ამ პრევენციული თავდაცვის ერთ-ერთ ფორმად განვიხილავთ); ინკლუზია/ექსკლუზიიდან ყველას ინკლუზიისკენ, მაგრამ როგორ? (არ მართლდება ის დებულება, რომ ისრაელის სახელმწიფო მხოლოდ ეთნიკური წმენდით და მიწის წართმევით არის დაკავებული, რადგან ამავდროულად ამოქმედებულია ჩართვისა და ინკლუზიის ფაქიზი, მაგრამ ძლიერი ფორმები: ამის ერთ-ერთი მაგალითი ისაა, რომ პალესტინელს შეიძლება, ასი სხვადასხვა ტიპის პირადობის მოწმობა ჰქონდეს, რომლებიც ერთმანეთისგან მცირედით განსხვავდება და მოქმედებს, როგორც, ჰელგა ტავილ-სურის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ძალაუფლების დაბალტექნოლოგიური, ხილვადი, ხელშესახები საშუალებები, რომლებიც პალესტინელებს ისრაელის სახელმწიფოში ერთდროულად იღებს კიდევაც და რიყავს.“[47]); მე/სხვის

[45] Davide Panagia, *The Political Life of Sensation 2* (2009).

[46] Michel Foucault, *Security, Territory, Population: Lectures at the Collège de France 1977-1978* (Graham Burchell trans., 2009); Gilles Deleuze, *Negotiations 1972-1990* (1997).

[47] Helga Tawil-Souri, *Colored Identity: The Politics and Materiality of ID Cards in Palestine/Israel,* 107 Soc. Text 68-9 (2011) (სური წერს: „...ისრაელის სახელმწიფოს ადანაშაულებენ იმაში, რომ პალესტინელების გაქრობა სურს, მაგრამ სახელმწიფო ქმნის კონტროლის შთამბეჭდავ ინფრასტრუქტურას, რაც პალესტინა/ისრაელში პალესტინელთა განგრძობით ყოფნას ეფუძნება. გადაადგილების, ფრაგმენტაციისა და წაშლის ფონის გარდა ასევე არსებობს ბიუროკრატიული სისტემა, რომელიც პალესტინელებს მათ კუთვნილ ადგილს უნარჩუნებს: ისინი კოლონიალიზმის, ოკუპაციისა და ჩაგვრის ცვალებად, მაგრამ განგრძობით ფორმებს ექვემდებარებიან... შესაძლოა პალესტინელთა ფრაგმენტირების, იზოლირების, გადაადგილებისა და წაშლის პრაქტიკები მართლაც არსებობს, მაგრამ ამისთვის ისინი ჯერ უნდა დაითვალონ, აღრიცხონ, ზედამხედველობის ქვეშ აიყვანონ და გააკონტროლონ.“)

ობიექტის/სუბიექტის აგებიდან დიფერენციაციის მიკრომდგომარეობისკენ; პროფილის ზედამხედველობიდან აფექტის კონტროლისკენ.

აფექტზე ეს ბოლო შენიშვნა მნიშვნელოვანია, რადგან დისციპლინა იდენტობის დონეზე მოქმედებს, კონტროლი კი - აფექტური ინტენსიფიკაციის დონეზე. აქ ჩემი შთაგონების წყაროა ამიტ რაის მიერ სექსუალობის „შეგრძნების ეკოლოგიებად“ - იდენტობის ნაცვლად აფექტურ ენერგიებად - რეფორმულირება, რაც სცილდება იმგვარ ჰუმანისტურ განსაზღვრებებს, როგორებიცაა ჰეტეროსექსუალი და გეი, ქვიარი და არაქვიარი, მოდერნული და პათოლოგიური. ამ სექსუალობაზე რაი წერს:

> შეგრძნების ეკოლოგიები წინ წამოწევს სხეულის მრავალფეროვან სიამოვნებებს და ვირუსებივით ანაწილებს მათ სეგმენტირებულ ჯგუფებში არა მანორმალიზებელი სცენარების სახით, არამედ თვითორგანიზებულ ფორმებად, რომლებიც ვარირებენ და იცვლებიან.[48]

ჩვენი (სექსუალური) იდენტობა და ჩვენი მიჯაჭვულობა ამ იდენტობასთან შეგვიძლია, განვიხილოთ პროცესად, რომელიც ჩვევის ინტენსიფიკაციას მოიცავს. ეს იმას ნიშნავს, რომ იდენტობა სხეულის ჩვევის ინტენსიფიკაციაა, სხეულის ყოველდღიური აფექტური სენსორული რიტმებისა და ვიბრაციების მიდევნება სუბიექტის დისციპლინური მოდელისთვის, სადაც სექსუალობა სხეულის კიდევ ერთი შესაძლებლობაა, რომელსაც ნეოლიბერალური კაპიტალი იმორჩილებს. ამის მსგავსად, „ბრენდი ისრაელის კამპანია“, რომელსაც მცდარად აიგივებენ ხოლმე ფინქვოშინგთან, ამ კამპანიის შემადგენელი „ვოშინგების“ მხოლოდ ერთ-ერთი ფორმაა. აფექტური ინტენსივობის იდენტობის სქემასთან ადაპტაცია - დისციპლინის დაკავშირება კონტროლთან, ან უფრო ზუსტად, კონტროლის დისციპლინირება - იწვევს ერთგვარ წყვეტას სხეულის მიმართულებას და ამაზე სხეულის თანხმობას შორის. გარდა ამისა, ეს ადაპტაცია ითხოვს ერთი ტიპის პოლიტიკას და აბრკოლებს სხვა ფორმების დაფუძნებას.

შესაბამისად, პანაგიას სიტყვებით რომ ვთქვათ, შეგრძნებები მუდამ წნეხის ქვეშ არიან, რომ შეესაბამებოდნენ არსებულ სცენარებს, როგორც რეგრესული დერივაცია, რომელიც მრავალფეროვნებას ეხმაურება, ან როგორც მოთხოვნა, რომ მრავალფეროვნება დაბრკოლდეს და სცენარის ნაწილად იქცეს. სექსუალობის ეს სხვადასხვა ფორმები ქვიარ თეორიის ორ მიმართულებაშია ასახული. პირველი მიმართულება არსებითად დეკონსტრუქციულია და სექსუალური განსხვავების სოციალურ კონსტრუირებაზე ფოკუსირდება, რისთვისაც პოლიტიკურ განზომილებაში ენა მნიშვნელობის უსასრულო გადავადების საშუალებით დომინირებს.[49] სექსუალობის გაგების მეორე გზა შეგვიძლია, დაახლოებით განვმარტოთ, როგორც განსხვავების გამრავლება და ზრდა, განსხვავების

---

[48] Amit Rai, *Untimely Bollywood: Globalization and India's New Media Assemblage 9* (2009).

[49] იხ. Queering the Non/Human 1-12 (Norren Giffney & Myra. J. Hird eds., 2008) (ამ ორი მიმართულების განმარტებისთვის).

შექმნა და კრეატიული დიფერენციაციის ზრდა: სხვაგვარად რომ ვთქვათ, განსხვავების ქმნადობა. ამ შემთხვევაში, თვით ენის „ადგილის“ მნიშვნელობა იცვლება: ენას არა მხოლოდ გააჩნია მატერია, ის თავად არის მატერია.[50] სექსუალობის დეკონსტრუქციის მიმართულება ბინარულობის წინააღმდეგ და მისი საშუალებით აზროვნებს, რათა ძირი გამოუთხაროს და დაშალოს იგი, მეორე, აფირმატიული ქმნადობის მიმართულება კი უსასრულო დიფერენციაციისა და მრავალფეროვნების წაკითხვას და წახალისებას გვთავაზობს, რათა დაძლიოს ბინარულობა. ორივე სტრატეგიის დროში განგრძობითობის უნარი სხვადასხვაგვარია და სხვადასხვა სკალებზეა გაფანტული. პირველი სტრატეგია შესაძლოა, ფოკუსირდეს აზრიანობაზე ან რეპრეზენტაციული ფორმატისა თუ ფორუმის შესახებ განსხვავებული აზრის შექმნაზე; მეორე სტრატეგია ითხოვს აზრს, აღმოცენების პოტენციურობის შექმნას, ფორმაში რეინვესტირებას კი ნაკლებად ახდენს. ნაცვლად ამისა, ის უფრო მეტ თანხმობაშია ვარიაციიდან ვარიაციამდე მუდმივ დიფერენციაციასა და აფირმატიული ქმნადობის მრავალფეროვნებასთან.[51]

ამ მეორე მიმართულების მიღებით, სადაც სექსუალობა კრებულია და არა იდენტობა, მიმართულების, რომელიც კრებულებსა და ვირუსულ გამრავლებაზე ფოკუსირდება და არა რეპროდუქციულ ფუტურიზმზე, შესაძლებელი ხდება ზემოხსენებული მოწოდებისა და რეაქციის ნაკადისგან დაშორება, რომელიც კვლავაც დომინირებს არგუმენტაციის იმგვარი ლოგიკით, როგორიცაა „მეინსტრიმული/გლობალური ქვიარის“ შეპირისპირება „ფერადკანიან/არადასავლელ ქვიართან“, ნაკადის, რომელიც ხშირად ვერ ახერხებს კრიტიკული კითხვები დაუსვას იმ კომპლექსურ სოციალურ ველს, სადაც „ქვიარი“ იწარმოება, როგორც ამ საზღვრების თანამკვეთი პრივილეგირებული აღმნიშვნელი.

ამგვარი ცვლილების ერთ-ერთ მიზეზად უდაოდ კონცეპტ ჰომონაციონალიზმის „ვირუსული“ გადაადგილება უნდა განვიხილოთ, რის შედეგადაც ცნება აიტაცეს ჩრდილოეთ ამერიკაში, რამდენიმე ევროპულ სახელმწიფოში, პალესტინა/ისრაელსა და ინდოეთში. ამგვარი რეპროდუქციული გამოყენებით ხშირია ჰომონაციონალიზმის რედუცირება ბრალმდებელ აქტივისტურ პლატფორმამდე და მისი გამოყენება ანალიტიკურ კატეგორიად, რომელიც „ჰომონაციონალისტური“ სახელმწიფოს დონეს ან თვისებებს აფასებს, რაც შემდგომში იწვევს სახელმწიფოს, როგორც დომინანტი და, ხშირად, ერთადერთი აქტორის, გამოკვეთას. კვლავაც გავიმეორებ, ნაცვლად იმისა, რომ ვიფიქროთ ჰომონაციონალიზმზე, როგორც იდენტობაზე ან ზედსართავ სახელზე, რომლითაც სახელმწიფოს ან სხვა ერთეულის გაკიცხვა შეიძლება, მე ჰომონაციონალიზმად მოვიაზრებ ანალიტიკურ კატეგორიას, რომელიც შესაძლებელს ხდის სახელმწიფოს ფორმაცია მოდერნულობის სტრუქტურად გავიგოთ. ჰომონაციონალიზმის, როგორც კრებულის, ამგვარი გაგებით, ჰომონაციონალიზმის, როგორც კონცეპტის, ასე ვთქვათ, ვირუსულობა, საკმაოდ განსხვავებულია მისი

---

[50] იხ. Vicki Kirby, *Quantum Anthropologies: Life at Large* (2011); Mel Chen*, Animacies: Biopolitics, Racial Mattering, and Queer Affect* (2012).

[51] იხ. მაგ., Claire Colebrook, Deleuze and the Meaning of Life (2010) (მისი ნაშრომი ამ მეორე მიდგომის კარგი მაგალითია).

რეპროდუქციული გამოყენებისგან. მაშასადამე, ქვიარ თეორიის ამ მეორე მიმართულების მიხედვით შეიძლება, დავინტერესდეთ, როგორ იქცა ჰომონაციონალიზმი, როგორც კონცეპტი, ჰომონაციონალიზმის, როგორც კრებულის ნაწილად, რადგან კონცეპტის დისკურსული გადაადგილება კრებულს ვირუსულად ამრავლებს და ამგვარად, მას სახეს უცვლის.

ჰომონაციონალიზმი, ვირუსული და კონტროლის საზოგადოებაში მიღებული ფორმით, საკუთარი თავის სარკე აღარ არის, აღარ არის ის ჰოლისტური კონცეპტი, რომელიც მხოლოდ საკუთარი თავის კვლავწარმოებას ახდენს. თანამედროვე სალაპარაკო ენაში ვირუსულობას ხშირად ახსენებენ ინფორმაციის გავრცელების გაძლიერებული სიჩქარისა და მასშტაბურობის აღსანიშნავად, განსაკუთრებით, ინტერნეტთან მიმართებაში. ის ასევე აღნიშნავს განურჩეველ გაცვლებს, რაც ხშირად სხეულის ინფიცირების, შეუკავებლობის, საზღვრების არასასურველი გადაკვეთის ცნებებს უკავშირდება, უფრო პოზიტიური აზრით კი, გამტარუნარიანობას და მეტიც, კეთილგანწყობასაც კი იმის მიმართ, რაც დაპირისპირებულ მხარედ განიხილებოდა.[52]

რომ შევაჯამოთ, როგორ შეიძლება, ვიფიქროთ ჰომონაციონალიზმის ვირუსულობაზე მოდერნულობასთან მისი კავშირის გარდაუვლობის გათვალისწინებით? რას ნიშნავს იმის თქმა, რომ ჰომონაციონალიზმი ვირუსული გახდა - რაც ცვლილებისა და გამრავლების ვირუსულობაა და არა მისი ანალიტიკური სქემის ბანალური რეპროდუქცია სხვადასხვა ეროვნულ კონტექსტში, რაც ხანდახან მართლაც ხდება მისი იდენტიტარიანული გამოყენებისას? ვირუსულობის ხიბლი, რა თქმა უნდა, იმაშია, რომ ის საკუთარ კრიტიკას აწარმოებს და ფუკოსეული დისკურსისკენ წახალისების მოწოდებისა და რეაქციის სისტემას სახეს უცვლის. მაგრამ ამ სისტემისგან განსხვავებით, რომელიც მუდამ პოზიციური „დამნაშავის“ ძიებაშია, ვირუსული ფორმა დასაწყისიდანვე მოიცავს საკუთარ კრიტიკას. ამ შემთხვევაში, ორიგინალი „უვარგისი“ პროდუქტისთვის ბრალის დადება უფრო რთულია, რადგან მან საკუთარი თავის კრიტიკა წარმოშვა და ამ მოქმედებამ შეცვალა კიდეც.

ვირუსული რეპროდუქცია ნამატს ან დანამატებს არ წარმოქმნის; ის ერთგვარი პოსტჰუმანური შესაძლებლობაა; რეპროდუცირდება არა ადამიანური სუბიექტი, იდენტობა ან სხეული, არამედ აფექტური ტენდენციები, შეგრძნების ეკოლოგიები და განსხვავებული ონტოლოგიები, რომლებიც აფექტის ახალ ეპისტემოლოგიებს წარმოქმნის. როდესაც რაღაცას ვაფასებთ, როგორც ვირუსულს, ამით ვაღიარებთ, რომ ყველაფერი, რაც ვირუსს ან ვირუსულობას ეწინააღმდეგება, შესაძლებელია, ათვისებული იქნას. მაშასადამე, ვირუსული თეორია, როგორც პოსტჰუმანისტური ინტერვენცია, იქამდე იწყება, ვიდრე აქტივიზმი-თეორიის ბინარულობის სახეობების მსგავსად დაყოფა მოხდებოდეს; ეს ის დაპირისპირებაა, რომელიც ქალთა კვლევების და გეი და ლესბოსური კვლევების სფეროებში ცოდნის წარმოებას უდევს საფუძვლად. ვირუსული თეორია ამგვარი დაყოფებისა და გახლეჩვების მიმართ შეუვალია. ვირუსულობა მიუთითებს არა იმდენად კონცეპტის

[52] ვირუსულობის განხილვისთვის იხ. Patricia Clough & Jasbir K. Puar, *Introduction*, 40 (1&2) Women's Stud. Q. 9-12 (Spring/ Summer 2012).

გადაადგილებისუნარიანობაზე, არამედ მისი რეზონანსულობის ზომაზე. ამგვარად, ვირუსულობა შესაძლოა, იმ გეოპოლიტიკურ გადაკვეთებზე სააზროვნოდაც გამოდგეს, რომლებიც არ არის აუცილებლად ერი-სახელმწიფოს საშუალებით ან მის წინააღმდეგ მიმართული, რაც ტრანსნაციონალურობის იდეის ახალ ალტერნატივას მოგვცემს და ჰომონაციონალიზმის კონცეპტის ეროვნულ კონტექსტებზე მიმაგრებას გაართულებს. აშკარაა, რომ ჰომონაციონალიზმი, როგორც კრებული, წარმოადგენს ალტერნატივას სახლი-დიასპორის რეაქციული დიალექტიკისთვის, რომელიც ასაზრდოებს ფილმს „მე“ ან „დასავლეთი და დანარჩენები“ პარადიგმის მოწოდებისა და რეაქციის ნაკადს.